# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 11 აპრილი, 2004 წელი

№83 (4812)


გიხაროდენ!



## აქეთ — მზე, იქით — მთვარე

ძვირფასო რედაქცია, პირველი შვილი 2 წლის გოგონა გვყავს – მაია, 6 აპრილს კი ბიჭი შეგვეძინა – ბაჩანა. მე და ჩემი მეუღლე ანა იმდენ შვილს ვიყოლიებთ, რამდენსაც ღმერთი მოგვცემს. ასევე ვუსურვებ სხვა ოჯახებსაც. გავმრავლდეთ, გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა. ყოველი შვილი ხომ უკიდეგანო ბედნიერებაა.

მადლობას მოგახსენებთ ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის, მრავალ დღესასწაულს დაესწარით.

**ვანო ლაბაძე.**

**ანა და ვანო, ღირსეული შვილები დაგეზარდოთ საქართველოსთვის!**

სულიერება

# [illegible]

## უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია □□-სი

საქართველოს წმიდა, მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველ ერთგულ და ღვთივკურთხეულ შვილს:

***მთავარი სიბრძნე – სიბრძნის მოხვეჭაა; ყოველ მოსახვეჭელთაგან ცოდნა უნდა მოიხვეჭო. დააფასე იგი და აგამაღლებს; პატივს შეგმატებს, თუ გულში ჩაიკრავ.***
**(სიბრძე სოლომონისა 4, 7-8).**

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, ბერ-მონოზონნო, მეცნიერნო და მუშაკნო, ხელისუფალნო და საზოგადო მოღვაწენო, ჩვენო საყვარელო ახალგაზრდებო, ყოველნო ღვთისმოყვარენო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის მკვიდრნო და სამშობლოს გარეთ დროებით მცხოვრებნო ჩვენო თანამემამულენო: „კურთხევა უფლისა თქვენ ზედა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!"

მაცხოვრის აღდგომის სიხარულით აღვსილი, ყველას გულითადად გილოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს;

**ქრისტე აღსდგა!**

იხ. მე-2-3 გვ.



თვალსაწიერი

## ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი თუ არ გაივლი...

**მოულოდნელი ქართოშიდან მოალერსე მზესთან საბოლოოდ დაბრუნების კვირა იყო განვლილი შვიდდღეული.**

**სიცივემ მოშუშა ტყემლის, ჭერმისა თუ ნუშის გამოტყუებული ყვავილი, მაგრამ გამთბარი მიწის სუნმა უკვე დაგვავიწყა დაგმანული ფანჯრებიცა და ხილის მომავალი სიძვირეც.**

**ზეიმების კვირა გვქონდა: ღირსსახსოვარ 9 აპრილს უშუალოდ მოჰყვა ბრწყინვალე აღდგომა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

**ასეთი დამთხვევა იშვიათად ხდება.**

15 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილის იმ ტრაგიკული ღამიდან, როცა სისხლითა და ცრემლით მორწყულ რუსთაველის პროსპექტზე ახალი საქართველო იშვა.

13 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

წლეულს განსხვავებულად მოგვიხდა ამ თარიღების აღნიშვნა.

ჯერ ის, რომ ამ დღეებში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 65 წლისთავი ვიზეიმეთ სახალხოდ.

მეორეც: რამდენიმე დღის წინათ ტყიდან გამოვიდნენ და ხელისუფლებას შეურიგდნენ წლების წინათ გააბრაგებული „ზვიადისტები" – პირველი გვარდიის მებრძოლები.

იხ. მე-4 გვ.



პოეტის იუბილე

## მუხრან მაჭავარიანი: ხალხის ნდობისა და სიყვარულის შენარჩუნება მოპოვებაზე ბევრად ძნელია

იხ. მე-6-7-8 გვ.

ინფორმაცია

**კიდევ ერთხელ გააფრთხილა**

**9 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმის უშიშროების იზოლატორიდან გათავისუფლებული თენგიზ ასანიძე სახელმწიფო კანცელარიაში მიიღო.**

**პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, ასანიძის გათავისუფლება ერთგვარი სიმბოლოა იმისა, რომ ადრე თუ გვიან აჭარაში წესრიგი და თავისუფლება დამყარდება.**



**„ჩემი ამოცანაა, რომ თქვენ და საერთოდ საქართველოს მოქალაქეები თავისუფლად გადაადგილდებოდეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მათ შორის აჭარაში", – აცხადებს სააკაშვილი, რომელიც კიდევ ერთხელ აფრთხილებს ასლან აბაშიძეს, რომ მას შეუძლია გონს მოეგოს და ჩაეწეროს ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტში.**

**„აბაშიძეს ბევრი აქვს მიქარული, თუმცა მას ჯერ კიდევ აქვს შანსი იმისა, რომ ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტში ჩაეწეროს", – განაცხადა სააკაშვილმა, რომელსაც ამავდროულად აუცილებლად მიაჩნია, რომ ასლან აბაშიძემ განაიარაღოს ის ხალხი, რომელთაც იარაღი აქვთ დარიგებული და სახელმწიფოს ჩააბაროს ის სამხედრო ტექნიკა, რომელიც პრეზიდენტის თქმით, ასლან აბაშიძემ სხვადასხვა ხერხებით და საშუალებებით შეიძინა.**

**„მე მზად ვარ დავუტოვო ასლან აბაშიძეს პირადი დაცვა, ის ან ნებაყოფლობით განიარაღდება, ან ჩვენ განვაიარაღებთ მათ", – აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.**

**ინტერ-პრესი.**

ინტერპანორამა

**ესპანეთში დაპატიმრებულმა ტერორისტმა გაამხილა, თუ როგორ იბირებდა მოთარეშეებს ჩეჩნეთში გასაგზავნად. თავიანთი საქმეების დეტალების შეთანხმებისას ექსტრემისტები თურმე ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს კომერციულ თემაზე ლაპარაკობდნენ. მაგალითად, ჩეჩნეთს „სხვა ფაბრიკას" უწოდებდნენ, მოჯაჰედებს კი „კომერსანტებს"...**



**მოსულში მოკლეს წითელი ჯვრის წარმომადგენელი და მისი ცოლი. საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი ჯერჯერობით არ ამტკიცებს, რომ ისინი ერაყელმა მოთარეშეებმა დახოცეს.**



**ყირგიზეთში ხელისუფლების ორგანოებში მუშაობა აუკრძალეს ყველას, ვინც ყირგიზულად არ ლაპარაკობს. ქვეყნის რუსულენოვანი მცხოვრებნი შეშფოთებას გამოთქვამენ ახალი კანონის გამო, რომელიც კიდევ უფრო გაართულებს მათს ცხოვრებას ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

სულიერება

# სააღდგომო ეპისტოლე

## უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია □□-სი

(პირველი გვერდიდან)

უფალი ბრძანებს: „..ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვიევლინე სოფლად, რათა ვწამო ჭეშმარიტი...“ (იოანე 18,37). ჭეშმარიტება! როგორ ახლოსაა და, ამავე დროს, როგორ მიუწვდომელია იგი.

ყოველდღიურად თითქოს ვუახლოვდებით მას, მაგრამ ის მაინც შორეულად რჩება, ალბათ, იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას სადღაც გარეთ, საკუთარი თავის მიღმა ვეძიებთ და ვერ ვგრძნობთ, რომ იგი სინამდვილეში ჩვენშია.

მაშ, როგორ მივეახლოთ მას? უფლის პასუხი ასეთია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14, 6). დიახ, ჭეშმარიტება თვით იესო ქრისტეშია და რამდენადაც ახლოს ვართ უფალთან, იმდენად ახლოს ვართ ჭეშმარიტებასთანაც. მის მადლს, როგორც არასდროს, ყველაზე ძლიერად სწორედ პასექის დღეებში შევიგრძნობთ.

ქრისტეს აღდგომით ზეიმობს ღვთაებრივი მარადიული ჭეშმარიტებაც და ჩვენც მონაწილენი ვხდებით ამ საოცარი სიხარულისა. რომ არა ეს დღესასწაული ჩვენი სარწმუნოება აზრს დაკარგავდა. ამიტომაც წერს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში: „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო სამე არს ქადაგება ესე ჩუენი და ამაო არს სარწმუნოება ეგე თქუენი.“ (1 კორ. 15, 14).

დღეს კაცობრიობა იმდენად მოცულია მიწიერი და მატერიალური პრობლემებით, რომ სულიერი და ზნეობრივი საკითხები თითქმის აღარ ახსოვს. სულიერებას მოკლებული ადამიანი ბოროტებას ლამის სიკეთედ მიიჩნევს და უფრო და უფრო ინთქმება ცოდვის, სიძულვილისა და სასოწარკვეთილების უფსკრულში. ყოველ ჩვენგანს დიდი დაკვირვება მართებს, რომ გამოიცნოს, სადაა ჭეშმარიტება და სად – სიცრუე. ამის გარჩევა უძველეს დროშიც უჭირდათ. ამიტომაც იყო, რომ წინასწარმეტყველმა სოლომონმა სამეფო ტახტზე ასვლის წინ უფლისგან სწორედ სიბრძნე და გონიერი გული ითხოვა, რათა ქვეყნის სიბრძნით მართვა და სიკეთისა და ბოროტების გამიჯვნა შესძლებოდა.

ამქვეყნად ცოდვა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ საზოგადოება მას ადრე მანკიერებად აღიქვამდა და ადამიანები მისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. დღეს მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ცოდვა მიუღებლად აღარ მიიჩნევა, პირიქით, საჯაროდ ხდება მისი პროპაგანდა და მას ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ თვისებად წარმოაჩენენ. საზოგადოებაში უკვე გაჩნდა ასეთი ფილოსოფიური ტერმინიც – „ხრწნილებისადმი შეგუება“.

სამწუხაროდ, ადამიანი მორალს იმდენად დასცილდა, რომ დამკვიდრდა ე.წ. „თავისუფლება“, ანუ პრინციპი – ყველაფერი ნებადართულია. ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი წერს: „ადამიანმა შეიყვარა ცრუ თავისუფლება. ამგვარ თავისუფლებას ის უჩვეულო დაჟინებით ესწრაფვის და მის გარეშე უკვე აღარაფერი სურს.“

ამ ზღვარდაუდებელი „თავისუფლების“ სახელით დღეს ურცხვად გვთავაზობენ გარყვნილების ლეგალიზაციას, სკოლის ასაკიდანვე ბავშვების გახრწნას, უხამს კინოპროდუქციას; შეუძლებელია არ გააოცოს სატელევიზიო პროგრამებით ძალადობის, ყაჩაღობის, მკვლელობის პროპაგანდამ, ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობებისადმი უპატივცემულობამ, რაც ჩვენს დაბალ კულტურასა და პროვინციალიზმზე მეტყველებს. ამას არ შეიძლება ეწოდოს თავისუფლება, ეს არის მონობა ცოდვისა და მანკიერებისა, ესაა გზა თვითგანადგურებისა და სულიერი სიკვდილისა.



აღნიშნული საკითხი არა მარტო ზნეობრივი პრობლემაა, არამედ სახელმწიფოებრივიც. მორალის გარეშე დარჩენილი საზოგადოება ძლიერ ქვეყანას ვერ ააშენებს. ამიტომაც ამ საკითხს ცივილიზებულ ქვეყნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ეს თემა ჩვენი საზოგადოებისთვისაც მეტად მტკივნეულია. მასზე არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ ადრინდელმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო. ვიმედოვნებთ, ახალი ხელისუფლება, რომლის ნდობაც ხალხს დიდი აქვს, გაითვალისწინებს მოსახლეობის ფართო ფენების დამოკიდებულებას და ქმედით ნაბიჯებს გადადგამს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას ასევე საჭიროებს სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში ჩვენი ახალგაზრდების აღზრდის საკითხი. უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს საუბარი სასწავლო პროგრამების განახლებაზე და ახლის შემუშავებაზე.

ბოლო დროს მოსახლეობაში დიდი მღელვარება გამოიწვია ბავშვების სექსუალური აღზრდის პროექტმა. ის, რაც კულუარულად იყო ცნობილი, ალბათ, ვერ განხორციელდება საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი პოზიციის გამო. ჯერჯერობით უცნობია მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასწავლო პროგრამებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ განათლების სამინისტროს არ უნდა დაეკისროს; განათლების რეფორმა ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და, რადგან საქმე ერის მომავალს ეხება, მისი განხილვა ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

თუ ჯანსაღი, ქვეყნის ერთგული, ძლიერი თაობის აღზრდა გვსურს, დიდი დრო უნდა დაეთმოს ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას, შრომის კულტურას, აზროვნების განვითარებას, სამშობლოსადმი თავდადებისა და ვაჟკაცობის ამსახველი ქართული და უცხოური ნაწარმოებების გაცნობას.

კარგად გვესმის, რომ არ შეიძლება მხოლოდ ძველი სტერეოტიპებით ცხოვრება. ჯერ კიდევ რომაელები ამბობდნენ: დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთადო, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ახალი ღირებულებების შეთვისებასთან ერთად, არ დავკარგოთ ჩვენი ტრდიციული და ზნეობრივი ფასეულობანი.

ცალკე უნდა შეიქმნას აღზრდის პროგრამა, რაც გულისხმობს ურთიერთობების კულტურასა და ქცევის წესებს. დღეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ეს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია უგულებელყოფილია და ამისთვის მხოლოდ ოჯახი ზრუნავს. საჭიროა აღზრდის საერთო მეთოდით ხელმძღვანელობდეს და ურთიერთკავშირში იყოს ოჯახიც, ეკლესიაც და სასწავლებელიც, ანუ ის გარემო, სადაც მოზარდი ყალიბდება. ცნობილი ხელოვანი, შესანიშნავი მკვლევარი, წარმატებული ფერმერი ან ბიზნესმენი, კარგი მუშა ან ნიჭიერი ახალგაზრდა როგორც ადამიანი, შეიძლება სულაც არ იყოს ზნეობრივი პიროვნება. სულიერი ღირსებების გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი ფასს კარგავს და მისი არსებობა ქვეყანას დიდ სიკეთეს ვერ მოუტანს. იმედია, ჩვენ არ გვსურს ასეთი თაობის აღზრდა.

როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი დღეს ეკლესიასაც შეაქვს. ამიტომ მინდა, შევჩერდე სასულიერო პირის მნიშვნელობასა და ფუნქციაზე.

მღვდლობა – მოძღვრობაა, ესაა ცხოვრება უფლისა და მოყვასისათვის. ჩვენს ეკლესიაში ეს განცდა ნამდვილად არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი შემთხვევებიც იჩენს თავს, როცა მღვდლები შეცდომას უშვებენ თავიანთ სულიერ შვილებთან მიმართებაში, უხეშად ერევიან მათ პირად ცხოვრებაში, ზოგჯერ კი ოჯახის შექმნას თუ ბერად აღკვეცას აიძულებენ.

ლონდონში მრავალი წელი მსახურობდა მიტროპოლიტი ანტონი (ბლუმი), რომელსაც კარგად ვიცნობდი. იგი დიდი სულიერებით გამოირჩეოდა. აი, რას წერს იგი ამ საკითხზე: „ჩემი აზრით, ამგვარი მდგომარეობა აღმაშფოთებელია, რადგან ძალადობა პიროვნებას სულიერად ამახინჯებს, ამიტომაც, უკიდურესად მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ, ასეთი რამ რომ არ მოხდეს, – რადგან ბერობაც და ოჯახის შექმნაც ადამიანის თავისუფალ ნებას და გონივრულ მიდგომას საჭიროებს.“

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ მონასტრის წინამძღვარსა და მის მორჩილებაში მყოფ სასულიერო პირთა შორის ურთიერთობები განსხვავდება სამღვდელოებასა და მათ მრევლს შორის დამოკიდებულებისაგან. ეს განსხვავება კი იმას გულისხმობს, რომ მოძღვრები არიან თავისი სამწყსოს სულიერი მრჩევლები და არა მათი ბედის განმკარგველნი, „სიყუარულით მწყსიდეთ თქვენდამი რწმუნებულ სამწყსოს და ნუ ეუფლებით მას“ – გვმოძღვრავს პავლე მოციქული.

სამწუხაროდ, ისიც ხდება, რომ მოძღვრები თავის სულიერ შვილებს გამოყოფენ სხვა მრევლისგან და ნებას არ აძლევენ, სულიერ საკითხებზე სხვა მღვდლებსაც მიმართონ, თვითონაც შეკითხვის ან აღსარებისთვის მისულ სხვა მოძღვრის სულიერ შვილებს არ იღებენ, რითაც მრევლში განყოფა შემოაქვთ. ასეთი დამოკიდებულება გაუმართლებელია და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

მეუფე ანტონი (ბლუმი) ჭეშმარიტი მოძღვრის მსახურებას წმიდა იოანე ნათლისმცემლის მისიას ადარებს. მოძღვარს ადამიანები უფალთან უნდა მიჰყავდეს და არა საკუთარ თავთან; მღვდელი არ უნდა ამაყობდეს იმით, რომ მასთან ბევრი ხალხი დადის. უმრავლესობა ამ ადამიანებისა სულიერად გამოუცდელია, ისინი სხვადასხვა განსაცდელით შეწუხებულნი, ნუგეშს და თანადგომას ეკლესიაში ეძებენ. მათთან მიმართებაში სასულიერო პირი უფლის მადლის გამტარი უნდა იყოს და არა საკუთარი იდეების მქადაგებელი; იგი უნდა კრებდეს ადამიანებს ქრისტეს, ეკლესიისა და სახარების გარშემო და არა საკუთარი თავის ირგვლივ.

არის სამწუხარო შემთხვევები, როდესაც მოძღვარი თავის მრევლს ისეთ განწყობას უქმნის, თითქოს იგი უფრო მადლმოსილია, რითაც სხვა მღვდლებისადმი, ნებსით თუ უნებლიეთ, უნდობლობას უნერგავს. როგორც კი ვინმე მოძღვარს ამგვარ დამოკიდებულებას შეამჩნევს, უნდა განშორდეს მას და სხვას მიმართოს.

ღვთის მადლით აღვსილი სასულიერო პირი არასდროს განიკითხავს და დაამცირებს სხვას, მით უმეტეს მღვდელს.

გახსოვდეთ, თუ ნებისმიერ ადამიანს, განსაკუთრებით ღვთისმსახურს გაუჩნდება განცდა საკუთარი უპირატესობისა, ეს მისი სულიერი დაცემის დასაწყისია.

მინდა, შეგახსენოთ მაგალითი წმინდანთა ცხოვრებიდან: ღირსმა ანტონი დიდმა, ეგვიპტეში ბერ-მონოზვნური ცხოვრების დამაარსებელმა, შეიტყო, რომ თებეს უდაბნოში მოღვაწეობდა წმიდა ბერი პავლე თებაიდელი. მოხუცებულობის მიუხედავად, იგი თებეში გაემგზავრა, რათა მისგან კურთხევა და წმიდა ლოცვები გამოეთხოვა. პავლე თებაიდელი დაყუდებული იყო და საერთოდ არავის იღებდა, მაგრამ ანტონი დიდის თხოვნამ თავისი ჰქნა და კარი გააღო. ცრემლმორეული ორი მეუდაბნოე ერთმანეთს გადაეხვია, მათ ერთმანეთი არასოდეს ენახათ, მაგრამ, როდესაც შეხვდნენ, ურთიერთს სახელებით მიმართეს და როგორც უახლოესმა სულიერმა ძმებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. პავლე თებაიდელის სიწმიდითა და სულიერი სიმაღლით შეძრული, უდაბნოში უკან დაბრუნებული ანტონი დიდი გოდებით ამბობდა: „ჰოი, როგორი უბადრუკი და გლახაკი ცოდვილი ვარ! მე ვიხილე ილია, ვიხილე იოანე უდაბნოში, ვიხილე პავლე სასუფეველში.“

ასე სწუხდა თავისი უღირსების გამო ეს უდიდესი მოღვაწე ბერი, მაშინ, როდესაც ათასობით ადამიანისთვის თვი-

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თონ იყო საოცარი მაგალითი სიმშვიდისა, სიწმინდისა, ღვთივგანბრძნობილობისა, მარხვისა, ლოცვისა და მრავალ სხვა სიკეთეთა.

ცნობილია ასეთი დიალოგიც მის სულიერ შვილთან: ანტონი დიდი ეკითხება: „შვილო ჩემო, რატომ ხარ მდუმარედ?" იგი კი პასუხობს: „მამაო ჩემო, ჩემთვის შენი ყურებაც საკმარისია და მრავლისმთქმელი." როგორი სიყვარული და მადლმოსილებაა ამ სიტყვებში!

ეს გრძნობა მარადიულია და მისი ძალა ულევი. არაფერი ისე არ აახლოებს ადამიანებს, როგორც სიყვარული და წმინდა ცხოვრება. უფალი მოგვიწოდებს: „..იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარეთ თქუენ." (იოანე 15, 12). დღეს კი საზოგადოებას დაახლოების ახალ საშუალებას — გლობალიზაციას სთავაზობენ. როგორც დოსტოევსკი ამბობს: „კაცობრიობის მოთხოვნილებად იქცა მსოფლიო და საყოველთაო ერთობა".

ჩვენ ყველანი ყურადღებითა და სიფრთხილით ვადევნებთ თვალს ამ პროცესს. თუმცა გლობალიზაცია, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად გავიგოთ და ამის მიხედვით, მისდამი დადებითად ან უარყოფითად განვეწყოთ.

ის, რომ პატარა სახელმწიფოები, უმეტეს შემთხვევაში, დიდი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და საერთაშორისო ურთიერთობებშიც ხშირად ძალისმიერი პოლიტიკა დომინირებს, ფაქტია, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ ასეთი პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში დიდი ზიანის მომტანი იქნება. ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ თუკი გლობალიზაცია აღქმული იქნება, როგორც მხოლოდ უძლიერესის ძალაუფლება, მას სტაბილურობა არ მოჰყვება, — პირიქით, მსოფლიოს მოიცავს დაძაბულობა. ასე რომ არ მოხდეს, გლობალიზაციის შესაძლო ნეგატიური გამოვლინებანი უნდა აღმოიფხვრას: ბატონობის პოლიტიკა ურთიერთნდობის, თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების პოლიტიკით უნდა შეიცვალოს, კონფლიქტური ან თავდაცვითი ტაქტიკა სამართლიან, ურთიერთხელსაყრელ და კონსტრუქციულ დიალოგად უნდა იქცეს. საჭიროა ამ პროცესებს ჩვენი ქვეყანა მომზადებული შეხვდეს. ვფიქრობ, ამისთვის საუკეთესო გზაა ჩვენი და უცხოელი მეწარმეებისა და მეცნიერების ერთობლივი პროექტების შემუშავება (სადაც ქვეყნის ინტერესები აუცილებლად იქნება დაცული), კულტურის მოღვაწეთა თანამშრომლობა, ცივილიზაციათა დიალოგი. საჭიროა ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის როგორც ჩვენი, ისე ნებისმიერი სხვა ერის თვითმყოფადობას, მის ეროვნულ ღირებულებებს და ამასთან ყველას მისცემს საშუალებას მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტის გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნებისა.

ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის აუცილებელია ერის გამთლიანება. ამ მიმართულებით ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა და ჩვენმა ეკლესიამაც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში.

საუკუნეების მანძილზე გარეშე ძალა ყოველთვის ცდილობდა ქვეყნის დაყოფას და კუთხურობის ნიშნით დაპირისპირების შექმნას. დღესაც, თბილისსა და აჭარას შორის წარმოქმნილი პოლიტიკური დაძაბულობა გარკვეულმა ძალებმა სცადეს ქართველებსა და აჭარლებს შორის დაპირისპირებად წარმოეჩინათ. ამ პროვოკაციას ჩვენმა ხალხმა, მათ შორის აჭარის მოსახლეობამაც საკადრისი პასუხი გასცა, — ჩვენ ვართ ერთი ერი, ერთი სახელმწიფო, გვაქვს ერთი კულტურა და ერთი ისტორია. ჩვენი განუყოფელი ნაწილია აფხაზეთიც და სამაჩაბლოც.

როდესაც ამ პრობლემებზე ვსაუბრობთ, თავისთავად დგება საკითხი ეკლესიის როლის შესახებაც. მართლმადიდებელი ეკლესია — ეს არის ღვთის მიერ მოწოდებულ ადამიანთა ერთობა, რომელთა მიზანია დაიცვან უფლის მცნებები და აღასრულონ მისი ნება. გვწამს, რომ ამქვეყნიურ ყოფაში სულიერი ცხოვრებისა და საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობის გარეშე სულიერი ამაღლება და ღმერთთან სიახლოვე შეუძლებელია. ეკლესია კაცობრიობისთვის უდიდესი მადლია. ესაა ღვთის წყალობა, მომნიჭებელი ცოდვათა მიტევებისა და განწმენდისა, სიკვდილზე გამარჯვებისა და ხსნისა.

საუკუნეთა მანძილზე ბოროტი ძალა სხვადასხვა სახით ებრძოდა ქრისტეს ეკლესიას. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც იბეჭდება ცილისმწამებლური წერილები და გამიზნულად ხდება ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის უნდობლობის გაღვივება. მათ ავტორებს ავიწყდებათ, რომ ეკლესია მაცხოვრის მისტიკური სხეულია, რომელიც კლდესა ზედა არის დაშენებული და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას. ეკლესია „სუეტი და სიმტკიცეა ჭეშმარიტებისა" (1 ტიმ. 3, 15).

წმიდა ბასილი დიდი ასე გვარიგებს: „შენ ხარ კეთილმოწყობილი ჭურჭელი, რომელმაც უფლისაგან სიცოცხლე მიიღე: ადიდე შენი შემოქმედი, რადგან იმისთვის ხარ მოწოდებული, რომ იყო ღირსეული გამოვლინება ღვთის მადლისა; ეს სამყარო შენთვის, ცოცხალი წიგნია, რომელიც უფლის სიდიადეს ქადაგებს და შენ, გონიერ არსებას, მის იდუმალ და უხილავ ბრწყინვალებას გაზიარებს, რათა შეიცნო ჭეშმარიტების ღმერთი". (გრ. დიაჩენკო, „სარწმუნოება", გვ. 176).

ყოველწლიურად ჩვენ ყველანი ზეიმით ვეგებებით პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც მუდამ ახალი, ადრინდელისგან განსხვავებული სიხარული მოაქვს. ესაა განცდა მარადიული ნეტარებისა. ყოველ წელს ჩვენს გულებში ინთება ახალი კანდელი, ცათა სასუფევლისკენ ჩვენი მომავალი მსვლელობის გზის გამნათებელი.

შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი და ჩვენ სიკვდილის დათრგუნვასა და მარადიული ცხოვრების დაწყებას ვდღესასწაულობთ.

სააღდგომო საგალობელში ვკითხულობთ: „დღეს მეუფემან წარმოსტყვევნა ჯოჯოხეთი და აღადგინა კრულნი, რომელნი საუკუნითგან ბოროტად პყრობილ იყვნეს მას შინა".

მაშ, დავივიწყოთ მიწიერი განსაცდელი და ამ წარმავალი წუთისოფლიდან მარადიულობას მოვაპყრათ თვალი. მოვიგონოთ ჩვენი მშობლები და კეთილმორწმუნე წინაპრები. დაე, მარად გიცავდეთ დედის სითბო და მამის მზრუნველობა. პატივი მიაგეთ მათ, ხოლო თუ ისინი გარდაცვლილნი არიან, მაინც ჩვეულებრივ ესაუბრეთ და დახმარებაც სთხოვეთ. გახსოვდეთ, მათ ყოველივე ესმით, კვლავინდებურად უყვარხართ და ლოცულობენ თქვენთვის.

სერბი მღვდელმთავარი, ნიკოლოზი წერს: ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს დედის ღიმილი, დამტევნელი სიბრძნისა, წყალობისა, სიყვარულისა და, რაც მთავარია, მარადიულობისა, რადგან სიცილიცა და ტირილიც დროებითია და წარმავალი და მხოლოდ ღიმილია — მარადიული.

თქვენდამი სიყვარულით გამთბარი გულით კიდევ ერთხელ გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს.

ქრისტე აღსდგა!

დაე, სიხარული სუფევდეს თქვენს სულში.

ვილოცოთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს მშვიდობის, ერთობისა და კეთილდღეობისთვის. ვილოცოთ მსოფლიოს მშვიდობისთვისაც. უფალი შეისმენს ჩვენს ვედრებას, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

აღდგომა ქრისტესი, თბილისი, 2004 წელი.

## მარადიული სანთელი

# ცრემლიანი ყვავილები — გმირებს

**გუშინწინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკო.**

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მიმდინარე წლის 1 სექტემბრისთვის იმ ადგილას, სადაც საბჭოთა ჯარებმა 1989 წლის 9 აპრილს ქართველი მომიტინგეები დაარბიეს, ქართველი სკულპტორების მიერ მომზადებული სპეციალური მემორიალი აღიმართება.

სამღვდელო პირებთან ერთად მემორიალთან მიბრძანდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

როგორც უწმინდესმა ბრძანა, 9 აპრილი უდიდესი დღეა ქართველი ერის ისტორიაში. „ქართველმა ხალხმა არასოდეს უნდა დავივიწყოთ 9 აპრილი და უნდა ვილოცოთ ამ დღეს დაღუპულთა სულებისთვის", — განაცხადა პატრიარქმა.

უწმინდესთან ერთად მემორიალს პატივი მიაგო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც.

„სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმოცენების პროცესს სწორედ 9 აპრილს განვითარებულმა მოვლენებმა შეუწყო ხელი. ამ დღეს დაღუპული ხალხის გმირობა 15 წლის შემდეგაც არ გახუნებულა და მათი სამშობლოსადმი თავგანწირვა თითოეული ქართველისთვის მუდამ სამაგალითო იქნება", — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

**ინტერ-პრესი.**



# ძეგლი — სამართლიან კაცს

## 9 აპრილის ბაღში ანატოლი სობჩაკის ქანდაკება დაიდგა

**ძეგლის გახსნის ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სხვა ოფიციალურ პირებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. მან აღნიშნა, რომ ანატოლი სობჩაკი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც ხმამაღლა თქვა, რაც მოხდა 1989 წლის 9 აპრილის ღამეს რუსთაველზე. პრეზიდენტმა ასევე გაიხსენა, რომ როცა აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა, სობჩაკი ქართველ, რუს და აფხაზ მეომრებს პეტერბურგში, საავადმყოფოში მკურნალობდა. „ჩვენთვის ნამდვილი რუსეთი სობჩაკი და ის ხალხია, რომელიც ყველაფერს აკეთებს ჩვენი ქვეყნებისა და მათი მეგობრობისთვის. რუსეთი ყოველთვის იქნება დიადი სწორედ იმიტომ, რომ შეუძლია, ჰქონდეს კეთილი ურთიერთობები მეგობრებთან და მეზობლებთან, რომელთაც ერთიანი ადამიანური სივრცე გვაერთიანებს", — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.**

პრეზიდენტთან ერთად, ძეგლის გახსნას პირველი ლედი სანდრა რულოვსი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, მინისტრები, პარლამენტარები და სხვა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ 1 სექტემბერს პარლამენტის შენობის წინ გრანდიოზული ძეგლი დაიდგმება მათთვის, ვინც 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს ერთიანობას შეეწირა.

ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით თბილისში ანატოლი სობჩაკის მეუღლე ლიუდმილა ნარუსოვა ქალიშვილთან ქსენიასთან ერთად იმყოფება.

ანატოლი სობჩაკის ძეგლი პეტერბურგის ქართული სათვისტომოს ძალებით შეიქმნა, პოსტამენტი კი თბილისის მერიის ხარჯებით დამზადდა.

**ინტერ-პრესი.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**





## მილოცვა

# უფლის აღდგომა კაცთმოყვარეობისკენ მოგვიწოდებს

## სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს

თქვენო უწმინდესობავ!

მართმადიდებელი საქართველო ჭეშმარიტად ახალი ცხოვრების პირველ ბწყინვალე აღდგომის დღესასწაულს ეგებება. ამდენად „ვარდების რევოლუციის" შემდეგ წლევანდელი აღდგომა საქართველოში ნამდვილად სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ჩვენ გვჯერა, რომ ქართული ეკლესია კვლავაც დარჩება სიყვარულისა და შემწყნარებლობის კერად, რაც სამომავლოდ ჩვენს ხალხებს შორის ბევრი სასიკეთო მიღწევის საწინდარი გახდება.

საქართველოში მოღვაწე თურქი ბიზნესმენები, რომლებიც უკვე თითქმის მთელი ათეული წელიწადი საგანმანათლებლო საქმეს ვეწევით, სულითა და გულით გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ვიმედოვნებ, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება ქართველი და თურქი ხალხების კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა.

უფლის აღდგომის დღე ადამიანებს კვლავაც კაცთმოყვარეობისკენ მოგვიწოდებს.

უღრმესი პატივისცემით,

**მესუდ ბოზქირი,**

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და ფირმა „ჩაღლარის" საქართველოში არსებული სასწავლო დაწესებულებების მოსწავლე-ახალგაზრდობის, სტუდენტებისა და მომსახურე პერსონალის სახელით სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 83, კვირა, 11 აპრილი, 2004 წელი.

## თვალსაწიერი

# ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი თუ არ გაივლი...

(პირველი

ხოტბის შესხმა არ მინდა, უბრალოდ, ფაქტად ვიტყვი: ახალმა ხელისუფლებამ ტყეში გასული იმ თორმეტი კაცის შინ დაბრუნებით საყოველთაო შერიგებისთვის უფრო დიდი და ხელშესახები საქმე გააკეთა, ვიდრე შერიგების შესახებ ბრძანებულებათა მთელი პაკეტის გამოცემით გააკეთებდა.

სიმშვიდე ისადგურებს საქართველოში. XVII საუკუნეში ჟან დე ლაბრუერი ამბობდა, „როდესაც ხალხში მღელვარებაა, ვერავინ იტყვის, როგორ უნდა აღდგეს სიმშვიდე, როდესაც იგი დაშოშმინდება, ვერავინ იტყვის, რა დაარღვევს იმ სიმშვიდეს“.

ჯერჯერობით, სწორედ ასეა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, ყოფილი შეურიგებლის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის წერილი დავბეჭდეთ ჩვენი გაზეთის 9 აპრილის ნომერში. ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობითობაზეა იქ საუბარი. ერთი მომენტი იქცევს ყურადღებას განსაკუთრებით: ბატონი ტარიელი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ზვიად ძიძიგურმა დასვა საკითხი, დროა დევნილმა უზენაესმა საბჭომ სამართალმემკვიდრეობა გადასცეს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასო.

რაკი ავტორი უკომენტაროდ აღნიშნავს ამას, ალბათ, არც გამორიცხავს ასეთ უფლებამონაცვლეობას.

12 წლის უკომპრომისო



ბრძოლისა და დევნის შემდეგ ისინი ამ შესაძლებლობას უშვებენ!

დღევანდელი ხელისუფლების გამარჯვების ერთ-ერთ უტყუარ ნიშნად ესეც მიმაჩნია.

ისიც, გუშინწინ 9 აპრილის ბაღში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის თბილისის მოვლენების გამომძიების კომისიის თავმჯდომარის ანატოლი სობჩაკის ძეგლი რომ გაიხსნა.

ეს მაშინ, როცა თვით 9 აპრილს დაღუპულთათვის არ დაგვიდგამს ჯერ ძეგლი.

ამით პატივი მივაგეთ რუსეთის დიდ მოქალაქეს, რომელმაც პირველმა იპოვა და თქვა სიმართლე 9 აპრილის ტრაგედიაზე, თუ როგორ მიუსია ხელისუფლებამ არმია თავის მოქალაქეებს.

ოდითგან ასე იყო მოწყობილი ქართველი კაცის ბუნება – ქედს უხრიდა თავისი ჭირის გამზიარებელსა და თანამგრძნობს.



ამდენად, არავის გაკვირვებია ამ ძეგლის გამოჩენა თბილისში. სიმბოლურად, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რუსი და ქართველი ხალხების ჭეშმარიტ ურთიერთობას, რაც, მართლაც ძვირფასი და ღირებულია, ძალად თავს მოხვეულ „ინტერნაციონალური მეგობრობისგან“ განსხვავებით.

მართალია თავად მონუმენტი რუსეთში დამზადდა სობჩაკის ქვრივის ლუდმილა ნარუსოვას ინიციატივით, მაგრამ იგი კარგად მოერგო ქართულ კვარცხლბეკს. გახსნის ზეიმზე თბილისს ეწვივნენ დელეგაცია სანკტ-პეტერბურგიდან, სობჩაკის ცოლ-შვილი.

– ქართველი ერის ღირსებაა, დააფასოს სხვა ეროვნების დიდება და ღირსება და დღევანდელი დღე ამის ნათელი მაგალითია. ანატოლი სობჩაკი რუსული ჭეშმარიტი დემოკრატიის ნამდვილი სახეა, მას ძალისხმევა არ დაუკლია რუსეთ-საქართველოს შორის კეთილი ურთიერთობის შექმნისათვის, – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

იმ დღეს ისიც გამოიკვეთა, რომ 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალი, რომლის დადგმასაც აგერ უკვე 15 წელიწადია გვპირდებოდა ხელისუფლება და ამ დაპირებაში ლამის გაცვდა იქ დადებული თეთრი მარმარილოს ლოდი-„ანონსი“, ამ შემოდგომამდე აუცილებლად აღიმართება პრეზიდენტის კატეგორიული მოთხოვნით.

ადრე ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულ ძეგლზე უარი თქვეს, ახალი კონკურსი ცხადდება.

როგორი იქნება მომავალი პროექტი?

ფრთებგამლღვალი და ძირს დანარცხებული მითური იკაროსის ნაცვლად, იქნებ პირიქით – ცისკენ ზემსწრაფი მზეჭაბუკი გამოდგეს იდეის დვრიტად? 9 აპრილის ღამე ხომ, ტრაგედიასთან ერთად, ერის აქილევსივით ქურაში გამოწრთობის ნიშანსვეტიც იყო!

როგორც იქნა, აჭარის უშიშროების საპყრობილედან გაუშვეს „მარადი“ პატიმარი – ბათუმის ყოფილი მერი და თამბაქოს ფაბრიკის ყოფილი დირექტორი თენგიზ ასანიძე, რომელსაც ციხის კარი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაეხსნა.

ცნობისთვის: 1994 წელს თენგიზ ასანიძეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ფინანსური მაქინაციების ბრალდებით. 1999 წელს იგი ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შეიწყალა, მაგრამ აჭარის ხელმძღვანელობამ არ გაათავისუფლა. პირიქით, მის მიმართ ახალი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსის ვაჟა გოგიტიძის გატაცების საქმეში თანამონაწილეობის ბრალდებით და ხელახალი სასჯელი – 10 წელი პატიმრობა შეეფარდა. 2001 წლის იანვარში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს ბრალდება მოუხსნა, მაგრამ იგი კვლავ უკანონო პატიმრობაში დარჩა.

რა დასამალია და აჭარის ლიდერი ერთობ გულდაწყვეტილი ჩანდა. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა სახელმწიფოზე ერთი კაცის გამარჯვებააო, თქვა. მერე – ეს განაჩენი რეკომენდაცია უფროა, ვინემ სავალდებულოო, ბოლოს – გაშვება, ცოტა არ იყოს, სახიფათოა, რადგან შეიძლება ვინმე შურისმაძიებელი აღმოჩნდესო.

ანუ, თუ სწორად გავიგე, მოსისხლეები ჰყავს და გარეთ რომ მოიხელთონ, შეიძლება სული გააფრთხობინონო (უფრო იგულისხმებოდა, აუცილებლად ტყვიას კრავენო).

ერთი სიტყვით, ამ პირქუში წინასწარმეტყველების გამო საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ბატონი ასლანი, თვით ასანიძის საკეთილდღეოდ, მზად იყო კვლავაც ცხრაკლიტულში დაეტოვებინა იგი.

მაგრამ ბოლოს მაინც მისი გამოშვება მიიჩნია უმჯობესად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის მრისხანე ტირადამ დააჩქარა, აჭარის ლიდერს კი არ ვთხოვ, ვუბრძანებ, დაუყოვნებლივ შეასრულოს სტრასბურგის სასამართლოს დადგენილება, თორემ მე თვითონ გავათავისუფლებ ჩემს ხელთ არსებული ძალებითო.

ჰოდა, 9 აპრილს თენგიზ ასანიძე უკვე თბილისში ჩამოფრინდა, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველმაც გაიარა, გალაკტიონის შეგონების შესაბამისად და შამპანურიც დაიგემოვნა, თუმცა ბოდიში კი მოიხადა, წითელი პარასკევია და, წესით, ღვინოს არ უნდა ვსვამდეო.

იმავე დღეს მას პრეზიდენტიც შეხვდა, გარეთ გამოსვლა მიულოცა და ასლან აბაშიძეს კიდევ ერთხელ დაუტატანა, „ბევრი აქვს მიქარულიო“.

ერთი სიტყვით, ქართველმა რუდოლფ ჰესმა (პატიმრობის უვადოობის ანალოგით) უიღბლო პარტაიგენოსესგან განსხვავებით, საკანი უკან მოიტოვა და დღეს, ალბათ, სააღდგომო სუფრასაც მოულხენს.

ამრიგად, დასრულდა მთელი ქვეყნის მასშტაბით წლობით სამარცხვინო მარჩიელობა „გაუშვებს-არ გაუშვებს“.

თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ერთი პუნქტი კიდევ დარჩა შესასრულებელი: სახელმწიფომ ყოფილ პატიმარს 155 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს კომპენსაციის სახით.

155 ათასი ევრო, ჩვენს პირობებში დიდი ფულია, რაც განთავისუფლებულ ედმონდ დანტესს გრაფ მონტე-კრისტოდ გარდაქმნის. ამ ადამიანს, ალბათ, მართლაც ეკუთვნის ეს კომპენსაცია, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ასანიძის უბედურებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ხომ არაფერ შუაშია, თუ არ ჩავთვლით მის უსუსურობასა და უნიათობას, წლების მანძილზე რომ ვერა და ვერ აღკვეთა პატიმრის მიმართ ძალადობა და უსამართლობა. სჯობდა, პირდაპირ ყოფილიყო მითითებული, ეს თანხა იმ ადამიანებს გადახდეთ, რომლებიც მატროსოვივით მკერდით იყვნენ გადაფარებული ასანიძის საკნის კარსო.

ეს იქნებოდა უფრო ნათელი, გასაგები და, რაც მთავარია, სამართლიანი.

საინტერესოა, ახლა ამ პუნქტის გამო ხომ არ დაიწყება ახალი იწილო-ბიწილო?

**დღეს აღდგომაა. სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ შესანიშნავ დღესასწაულს. ღმერთი გვფარავდეს.**

**ალეკო ასლანიშვილი.**

## სიახლე

# პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „წითელი ბაღი“ გახსნა

საბურთალოს რაიონში მდებარე განახლებული „წითელი ბაღი“ გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, წელს თბილისში კიდევ 50 სათამაშო მოედანი გაიხსნება ფეხბურთისთვის და აგრეთვე საჩოგბურთო კორტები. „ქალაქის ბიუჯეტი გადაჭარბებულია და ეს თანხები სახურავებისა და დანგრეული გზების შეკეთებას უნდა მოხმარდეს. გარდა ამისა, რუსთაველის გამზირის განათება დავიწყეთ, ასევე მარჯანიშვილის ქუჩაზე სახლების ფასადებს ვაკეთებთ. ორ წელიწადში კი მთლიანად მოგვარდება ასეთი სახის პრობლემები“ – აღნიშნა სააკაშვილმა.

განახლებულ „წითელ ბაღში“, რომელსაც ხალხში სხვა სახელსაც ეძახიან, აღადგინეს „მომღერალი“ შადრევანი, გადაიღება სკამები, დაირგა ხეები, უახლოეს მომავალში კი, ატრაქციონებიც დამონტაჟდება. „არსებობს ქალაქის მასშტაბით „ლამაზი სკვერების“ გაკეთების პროგრამა, რომლის შემადგენელი ნაწილი დღევანდელი ღონისძიებაა. ქალაქის ბიუჯეტიდან 15 ათასი ლარი გამოიყო ამ ბაღის აღსადგენად. უახლოეს მომავალში კი, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონში დიდი სკვერი გაშენდება“, – აღნიშნა ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ



## დღის შეკითხვა

# რა როლს ასრულებს რელიგია თქვენს ცხოვრებაში?

**თეონა ნათიძე, მთარგმნელ-რეფერენტი: – რაც უფრო მორწმუნეა ადამიანი, მით უფრო კაცთმოყვარეა, სიბოროტეს ნაკლებად სჩადის. სულიერადაც უფრო თავისუფალია.**

**ია ღარალიშვილი, პედაგოგი:**

– ბავშვობიდან მორწმუნე ვარ და მგონია, რომ საქართველოს რწმენა და რელიგია გადაარჩენს.

**ემზარ გოგუაძე, აღმოსავლეთმცოდნე:**

– რელიგია ჩემი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი და მსოფლმხედველობის საფუძველია. ჩვენი მენტალობის სისტემა ქრისტიანულ სწავლებას ეფუძნება, დოგმატიკა კი, რომელიც მართლმადიდებლობის სახით მოგვეცა, მთლიანად განსაზღვრავს ჩვენს ეთიკას. აღდგომა ჩემთვის ახალი რიტმის დაწყებას უკავშირდება და ვცდილობ, აღდგომის სულიერი იმპულსი შობა დღემდე მაინც გამყვეს.

**გოგი დონაძე, ეკონომისტი:**

– საერთოდ რელიგიური არა ვარ, მაგრამ ეკლესიას პატივს ვცემ, აღდგომას ჩვეულებრივ, მართლმადიდებლური წესით ვხვდები.

**მაკა ხუჭუა, სტუდენტი:**

– უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ რელიგიურ დღესასწაულებს, მით უმეტეს – აღდგომას. სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ დღესასწაულს.

**ნინო კორაშვილი, ფილოლოგი:**

– თუ ღმერთი გწამს, არ შეიძლება რელიგიას ადგილი არ ჰქონდეს შენს ცხოვრებაში. აღდგომა უდიდეს სულიერ სიმშვიდეს მანიჭებს.

**თამარ ავეტისიანი,**
**მარეხ ხაჩიურიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 83, კვირა, 11 აპრილი, 2004 წელი.

სულიერება

# დღესასწაულთა დღესასწაული

აღდგომის ტროპარისათვის

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი,
და საფლავების შინათა ცხორების მიმნიჭებელი“.

აღდგომის ტროპარი

ეს ძველი საგალობელი ეკლესიას თვით მოციქულებმა გარდამოსცეს. სახარებასთან ერთად მას სანუკვარ სიწმიდესავით იმარხავდა ყველა ქრისტიანული სამწყო. ქრისტიანთა დევნის ჟამს იგი ძლევის გალობასავით ჟღერდა რომის კატაკომბებსა თუ იუდეის გამოქვაბულებში. აღდგომის ღამეს ქრისტეს აღდგომის მაუწყებელი სიხარული სულიერი ნათლის ტალღებად იფრქვევა ყოველი მართლმადიდებლური ტაძრიდან და წყვდიადში ჩაფლულ ღამეს სიხარულით სავსე, ბედნიერ დღედ აქცევს.

ქრისტე აღდგა! – ამ სიტყვებში, როგორც მისტიკურ ცენტრში, იკვეთება ძველი აღთქმის ყველა რადიუსი, მისი წინასწარმეტყველებანი, სახეები და აღთქმანი.

ქრისტე აღდგა! – ამ სიტყვების სიღრმიდან, ვით ნათლის უფსკრულიდან, მთელ სამყაროს ეფინება სხივები. მათში ჩადებულია აუხსნელი მიმზიდველი ძალა – თითქოს თვით ქრისტე ეხება ჩვენს გულსო. მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ქადაგებისთვის მოციქულები სიხარულით ხვდებოდნენ წამებას, სიკვდილს.

სოკრატე, რომელსაც ზოგიერთი თეოსოფი-ეზოთერისტი ქრისტესაც კი უდარებს, მომაკვდინებელი შხამით სავსე სასმისს რომ სცლიდა, თავისი მსაჯულებისადმი ცივი სიძულვილით იყო გამსჭვალული. მას ის აზრი ანუგეშებდა, რომ მსაჯულებიც სიკვდილმისჯილები იყვნენ, ოღონდ არა ათენის არეოპაგის, არამედ თვით ბუნების მიერ, რომ სიკვდილი გარდაუვალია. ქრისტეს მოციქულები კი, ტანჯვა-წამებაში რომ ელეოდათ სული, ისე ლოცულობდნენ თავიანთი ჯალათებისთვის, როგორც დედა ილოცებს თავისი შვილისთვის. იცოდნენ, სიკვდილი რომ არ არსებობს და ქრისტესთან შეხვედრა რომ ელოდათ.

ქრისტე მაცხოვრის ჯვარცმა და აღდგომა კაცობრიობისა და მთელი კოსმოსის ისტორიის უმთავრესი მოვლენაა. ქრისტეს აღდგომა არის ჩვენი უკვდავების დამტკიცება და მკვდრების მომავალი აღდგინების პირველსახე, ახალი სიცოცხლის დასაბამი და კაცობრიობის ორ ტირანზე – ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება.

ძველად ქრისტეს ჯვარცმის დღესაც პასექს უწოდებდნენ. ეს იყო ჯვარცმის პასექი. მას მოჰყვებოდა აღდგომის პასექი. აღდგომა ქრისტიანულ დღესასწაულთა გულისგულია. მის ირგვლივ განლაგებულია ყველა დანარჩენი დღესასწაული, ვით მზის დისკოს გარშემო – სხივთა ოქროს შარავანდედი.

ადამიანი არის ღმრთებრივი სილამაზის ნიმუში და სულიერ ეონში ფიზიკური სამყაროს წარმომადგენელი. მისი სხეული კოსმოსის ყველა ელემენტს შეიცავს, ხოლო სული – სულიერი ნათლის სხივი, ზეცის ნაწილი, ღმრთის ბაგეთა იდუმალი სუნთქვაა. ადამიანი, როგორც სულიერი და ფიზიკური არსება, ორ სამყაროს მიეკუთვნება. ის უნდა გამხდარიყო შემაკავშირებელი რგოლი ღმერთსა და კოსმოსს შორის, რათა მასში და მისი მეშვეობით მომხდარიყო მატერიის განსულიერება.

ცოდვამ დაარღვია სამყაროს ჰარმონია და ადამიანი ღმერთს მოსწყვიტა. გაჩნდა ხრწნა და სიკვდილი. ისინი სამყაროს თანდაყოლილი თვისებები, ანდა სიცოცხლის ბნელი ორეულები კი არ არიან, არამედ უზურპატორებივით, ტირანებივით შემოიჭრნენ სიცოცხლეში და დამკვიდრდნენ. სიკვდილი არის ავადმყოფობა, სენი, რომ... ვით მოედო მთელ სამყაროს. კაცობრიობის ისტორია სისხლის მეწამული საღებავითა და ცოდვის შავი მელნით დაწერილ ტრაგედიად იქცა. ღმრთისგან სულიერად მოწყვეტილი ადამიანი დასაღუპად არის განწირული ისევე, როგორც ღეროს მოწყვეტილი ყვავილი მტვრად და ფერფლად იქცევა. წყაროები რომ შრება, მცენარეები მიწის სიღრმეში უშვებენ ფესვებს, ტენს ეძებენ, თითქოს ხელი გაუწვდიათ მოწყალებისთვისო. კაცობრიობამ ღმერთი დაკარგა. ადამიანები ეძებდნენ ხსნას – ხან ფილოსოფიას მიმართავდნენ, ხან წარმართულ მისტერიებს, თაყვანს სცემდნენ ქვის ქანდაკებებს, მაგრამ ხსნა არსად იყო. სიკვდილის ტყვეობისგან კაცობრიობის გამოხსნა შეეძლო მხოლოდ იმგვარ მსხვერპლს, რომელიც თავისი აქსიოლოგიური მნიშვნელობით (ღირსების ხარისხით) მთელ სამყაროს გადაამეტებდა. ეს მსხვერპლი თავისი ბუნებით იმის იგივეობრივი უნდა ყოფილიყო, ვისთვისაც იწირებოდა. სწორედ ასეთი შესაწირავი მიიტანა ქრისტემ უფლის სამსხვერპლოზე: ის იყო ღმერთი და, მაშასადამე, იგი მოიცავდა მთელ სამყაროს. მეორე მხრივ, ის იყო სრული ადამიანი. მან თავისი თავით შეცვალა ადამიანი, ისევე, როგორც მეგობარი უცვლის სიკვდილმისჯილს ტანსაცმელს და მის ნაცვლად ადის ეშაფოტზე. უცოდველმა მიიღო კაცობრიობის ყველა ცოდვის შედეგი და სატანჯველი. ქრისტეს ღმრთებრივმა ღირსებამ მისი მსხვერპლი უსაზღვროდ და უკიდეგანოდ, უნივერსალურად აქცია.

ქრისტეს ჯვარცმამ და აღდგომამ დათრგუნა სულიერი სიკვდილი. ქრისტემ ადამიანი თავისი თავით შეცვალა და მეტაფიზიკური წყვდიადიდან ღმრთებრივი ლოგოსის ნათელში გამოიყვანა. მან გვიჩვენა გადარჩენის გზა, მთელი თავისი ცხოვრებით მოგვცა სიყვარულის მაგალითი. ქრისტემ დააარსა ეკლესია თავისი საიდუმლოებითა და ღმრთისმსახურებით, რომელთა მეშვეობით ქრისტეს აღდგომა წარსულიდან აწმყოდ იქცევა. ადამიანს მიეცა საშუალება, ეკლესიის საიდუმლოებში მონაწილეობით ქრისტეს აღდგომის სიხარული განიცადოს, საბოლოოდ კი სული გადაირჩინოს.

ქრისტემ დათრგუნა მშვინვიერი სიკვდილი, ცოდვის მეუფება. ზოგიერთები იტყვიან: სამყარო ხომ გაიძვერობამ და სიცრუემ, უსამართლობამ და სისასტიკემ წალეკა. მაშ როგორღა მოსპო ქრისტემ მშვინვიერი სიკვდილი? რატომ ცეცხლით არ ამოწვავს ბოროტებასა და ცოდვას, კაცობრიობის ამ ავთვისებიან სიმსივნეს? ამის მთქმელს ავიწყდება, რომ მაშინ თვითონ ჩვენც უნდა გავქრეთ და დავიფერფლოთ, რადგან ბევრჯერ გვიღალატია ქრისტესთვის, გადავცდენილვართ იმ საზღვარს, საიდანაც წყვდიადის, ცოდვისა და ბოროტების სამყარო იწყება. ღმრთის მოთმინება ჩვენი საერთო გადარჩენაა. უფალმა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი დაძლევის საშუალებები გვიბოძა. ამ ბრძოლაში ყალიბდება ადამიანი, როგორც ზნეობრივად თავისუფალი პიროვნება. უფალმა დროებით დაუშვა ბოროტება, მაგრამ ის სიკეთის სამსახურში ჩააყენა. მხოლოდ საშინელ სამსჯავროზე მოხდება ნათლისა და ბნელის, სიკეთისა და ბოროტების სრული განყოფა, დიფერენციაცია.

ქრისტემ დათრგუნა ხორციელი სიკვდილი. ეს კიდევ უფრო გაუგებარია ზოგიერთი ადამიანისთვის.




სიკვდილის შავბნელი სურათები ხომ ყოველი მხრიდან გვარტყია გარს. კვდებიან ჩვენი ახლობლები. სიკვდილი დედას შვილს აცლის ხელიდან. კლდეებსაც კი ღრღნის იგი თავისი ფოლადის კბილებით. ყოველი ქალაქის თუ სოფლის მახლობლად იზრდება მეორე ქალაქი – სასაფლაო, მკვდრების უტყვი ქალაქი. მაშ როგორღა ვამბობთ, რომ უფალმა სიკვდილს სძლია? – მან აღგვითქვა მარადიული სიცოცხლე, მაგრამ ეს ამქვეყნიური არსებობის გაგრძელებას კი არ ნიშნავს, არამედ – სახეცვლილებას, ადამიანისა და სამყაროს განსულიერებას. ამქვეყნიური უკვდავება ბიბლიის მიერ აღთქმული უკვდავების კარიკატურა იქნებოდა მხოლოდ, დაახლოებით სვიფტის ნახატის მსგავსი: უკვდავების ნიშნით აღბეჭდილი ხელებაცახცახებული და კისერმოფამფალებული მიხრწნილი მოხუცები საშინელი შურით აღვსილან იმათ მიმართ, ვინც უკვე საფლავში წევს. და ამაოდ უხმობენ სიკვდილს.

უკვდავება ამქვეყნიური არსებობის გაგრძელება რომ იყოს, მაშინ ყველანი ერთ ტაფაში მოვიხრაკებოდით – უბიწოებიც და გარყვნილებიც, ქრისტიანებიც და დემონის თაყვანისმცემლებიც. ნერონი, კალიგულა და თემურ ლენგი განაგრძობდნენ თავიანთ საქმეებს, ადამიანები დაიტანჯებოდნენ ავადმყოფობისა და სულის ვნებებისაგან. ამგვარი უკვდავება კაცობრიობისთვის არანაკლები წყევლა იქნებოდა, ვიდრე თვითონ სიკვდილი.

ქრისტემ დათრგუნა სიკვდილი, რადგან ბნელისა და ქაოსის უფსკრულიდან იგი სხვა, უფრო მაღალ არსებობაში გადასასვლელ ხიდად იქცა. იოანე ოქროპირი წერს: ვერცხლის თასი რომ დაზიანდება, ოსტატი ცეცხლში აგდებს მას, აღნობს, შემდეგ კი მისგან ახალ თასს ამზადებს. ამგვარადვე, ადამიანიც გაივლის სიკვდილის ქარცეცხლში, რომელიც მის სხეულსა და სულში ცოდვით დაცემათა ნაკვალევს ამოწვავს, და ღმერთი აღადგენს მას ახალ სიცოცხლეში თავისივე, ოღონდ უკვე განახლებული, სხვაგვარი თვისებების მქონე, სულის მსგავსი სხეულით. იბადება კითხვა: სული ხომ უკვდავია, საყოველთაო აღდგომის დროს რაღა საჭიროა ხორცის აღდგინება? – საქმე ისაა, რომ ადამიანი, ღმრთის მსგავსი არსება, არის არა მხოლოდ სული, არამედ სხეულთან შეერთებული სული, მონადა. მკვდრეთით აღმდგარი ადამიანის სხეული ქრისტე მაცხოვრის სხეულის მსგავსი იქნება. სხეული ადამიანის – კოსმოსის წარმომადგენლის ღირსებაა, და მის ინდივიდუალობას უსვამს ხაზს. ძველი ფილოსოფოსები ადამიანს მიკროკოსმოსს უწოდებდნენ.

ზოგიერთს უკვირს: თუკი სამყაროს სახეცვლილება ადამიანის სახეცვლილებასა და აღდგომაზეა დამოკიდებული, მაშ რაღად შექმნა უფალმა რამდენიმე მილიარდი სამყარო, რომლებსაც ვერასოდეს იხილავს ადამიანი, ჩვენ კი სამეფო ადგილი კი არ მიგვიჩინა სამყაროს ცენტრში, არამედ მის ერთ კუთხეში დაგვასახლა? ჯერ ერთი, დედამიწა სამყაროს სულიერი ცენტრია, რამეთუ ქრისტე გარდამოვიდა აქ და ხორცი შეისხა. მაგრამ ეს ასეც რომ არ იყოს, გოლგოთის მსხვერპლის მნიშვნელობა მაინც არ დაკნინდებოდა, რადგან სწორედ დედამიწაზე ეცვა ჯვარს ქრისტე და დათრგუნა სიკვდილი, აქ გადაწყდა მთელი კოსმოსის ბედი.

ადამიანთა აღდგომა არის არა მიწიერი ცხოვრების გამეორება, არა რეანიმაცია, არამედ სხვაგვარ არსებობაში გადასვლა. სხეული შეიძენს ახალ თვისებებს – აღარ იქნება დროისა და სივრცის მონა. ადამიანი ერთიანი სულიერი ჭვრეტით იხილავს ღმრთის ნათლის სახეცვლილ სამყაროს, ვითარცა ღმრთის მიერ შექმნილ საკვირველ სურათს. ძველი ფილოსოფოსები ტყუილად როდი უწოდებდნენ სამყაროს კოსმოსს. კოსმოსი ნიშნავს არა მარტო წესრიგს, არამედ შემკობასა და მორთვასაც. ადამიანი იხილავს კოსმოსს, როგორც თავის საკუთრებას. იგი გადაიშლება მის წინაშე, როგორც კი დაეშვება ფარდა – სიკვდილის, დროისა და ხრწნის მეუფება. სივრცე აღარ იქნება დამაბრკოლებელი ადამიანის სხეულისთვის, ისევე, როგორც ახლა არ წარმოადგენს დაბრკოლებას მისი აზროვნებისთვის. ადამიანი იხილავს კოსმოსს, როგორც განძს, რომელიც მამამ დაუმალა შვილს და მხოლოდ სრულწლოვანების ასაკში მისცა.

საყოველთაო აღდგომის დროს ერთმანეთს შეხვდებიან ახლობლები, ვინც ამქვეყნად სიყვარულით იყვნენ დაკავშირებული. იმედი განხორციელდება, რწმენა იქცევა ღმრთის ჭვრეტად, სიყვარული კი დარჩება მარად. აღარ იქნება განშორება და სიკვდილი, დროც კი გაქრება.

ცათა სასუფეველი ღმრთებრივი ნათლის მეუფებაა. მარადიული სიცოცხლე არის მარადიული მიახლება ღმერთთან. ადამიანი თავისი ბუნებით ადამიანად დარჩება, თავის პიროვნულობასა და ინდივიდუალობას არ დაკარგავს და, იმავდროულად, ღმრთის მსგავსი გახდება; ათანასე დიდის სიტყვით, „მადლისმიერი ღმერთი“ იქნება, ანუ ღმრთის მადლით, განიღმრთობა. მაქსიმე აღმსარებელი ამბობს: „ცეცხლში ჩაგდებული მახვილი ცეცხლის თვისებებს იძენს – არა მარტო ჭრის, არამედ წვავს კიდეც“. მარადისობაში მუდამ ახალია ყველაფერი, იცვლება ადამიანი – ქრისტე მაცხოვარს ემსგავსება, სულიწმიდის ქმედებით იცვლება სამყარო. პეტრე მოციქული წერს ქრისტიანთა მიმართ: „მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა“. ამ სიტყვების აზრი საიდუმლოა და მას მხოლოდ მარადისობაში შევიტყობთ.

აღდგომის დღეებში ჩვენ ერთმანეთს მივმართავთ: „ქრისტე აღდგა!“ ამ სიტყვებშია ჩვენი რწმენის ნათელი, ჩვენი სასოების სიხარული, ჩვენი სიყვარულის სიმტკიცე. და ამ სიტყვების პასუხად ეკლესია ღაღადებს: „ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!“

რუსულიდან თარგმნა
**ია მელიქიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოეტის იუბილე

**მართლაც** მირბის, მიგვაფრენს დროის მერანი, და ცოტანი თუ ახერხებენ ყველა გზის გავლას, სხვათათვის სავალის გაადვილებას. თითქოს გუშინ იყო ამ დიდი გზის დასაწყისი, დღეს პოეტი უკვე 75 წლისაა. იმ გამორჩეულ ქართველ პოეტთაგან, ვისაც ჩვენ მოვესწარით წინა საუკუნეში, ვინც ამ ახალ საუკუნესაც გადმოჰყვა და ქართველთა შემმახებლად დარჩება სამერმისოდ, ხალხი ღირსეულად მიაგებს პატივს მუხრან მაჭავარიანს, რომლის არა მარტო განუმეორებელი პოეტური ხმა, არამედ ასევე განუმეორებელი ბუნებრივი ხმის ტემბრი, სულმნათი გიორგი ლეონიძის ხმის ტემბრთან ერთად, თანამედროვე ტექნიკის წყალობით მომავალი დროის თაობების ყურსაც მისწვდება.

მუხრან მაჭავარიანი 1929 წლის 12 აპრილს დაიბადა სოფელ არგვეთში, დიდი აკაკი წერეთლის მშობლიური საჩხერის მხარეში. დაამთავრა ჩვენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თუ როგორ სწავლობდა, ამას ცოტა ქვემოთ შეიტყობთ თვითონ პოეტის ინტერვიუში). სხვადასხვა დროს იყო ჟურნალ „პიონერის“, ჟურნალ „დილის“ და ალმანახ „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი. პირველი ლექსები 1952 წელს გამოაქვეყნა, ხოლო პირველი წიგნი „ლექსები“ – 1955 წელს. ჯილდოც ბევრი აქვს და პრემიაც, მაგრამ ყველაზე მეტად რუსთაველის პრემია ეამაყება, რომლის შემდგომი ერთგვარი „გაიაფება“ ძალიან ანაღვლებს კიდეც და აშფოთებს კიდეც (ეს ჩვენი ნობელის პრემიააო, დიდი სიმკაცრე გვმართებს, ამ პრემიით წარამარაობა ყოვლად დაუშვებელიაო).

საიუბილეო თარიღის გამო ამ დღეებში მის ვეწვიეთ პოეტს, რომლის ბობოქარი ახალგაზრდობაც გუშინდელი დღესავით გვახსოვს და არც შედარებით მშვიდი ხანდაზმულობა გვიკვირს.

რაც მთავარია, გულისა არ იყოს, არც ხმა ბერდება თურმე. ხანი ვერ შეაცვლევს ვერც მუხრანისთვის დამახასიათებელ ძველებურ რიხს.



# მუხრან მაჭავარიანი: ხალხის ნდობისა და სიყვარულის შენარჩუნება მოპოვებაზე ბევრად ძნელია

***– ბატონო მუხრან, ესეც 75. როგორ ფიქრობთ, ბევრია თუ ცოტა შემოქმედი კაცისთვის? მოასწარით თქვენი საქმე, თქვენი სათქმელი? რა დაგრჩათ სანანებელი? თქვენ ერთ-ერთი უბედნიერესი პოეტი ბრძანდებით, რადგან მთელი სიცოცხლე თან გდევდათ ხალხის სიყვარული.***

– მოვასწარი? რაშია საქმე, იცით, 75 წლის რომ გავხდი, ამდენ ხანს რომ მაცოცხლა ღმერთმა, ძალიან დიდი მადლობელი ვარ. მაგრამ უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი (ნაღდად, გულწრფელად ვამბობ) ჩემი მეგობრებიც ცოცხლები რომ იყვნენ, სიყრმის მეგობრები. მარტო დავრჩი. ჩემი კოლეგები, არაკოლეგები, ვისთან ერთადაც გავიზარდე, აღარ არიან. ამდენად ჩემს ყოფნას მაინცდამაინც დიდი აზრი აღარა აქვს, ნამდვილად აღარა აქვს. რაც შეეხება მოსწრებას, მოვასწარი-მეთქი, არ შეიძლება თქმა, რადგან დრო გადის, ახალ დღეს სულ ახალი და ახალი სათქმელი მოაქვს, ამიტომ მოსწრება რანაირად შეიძლება? ვერა, ვერ მოვასწარი, და სანამდე ვიცოცხლებ, ვერც მოვასწრებ. ისე, რა თქმა უნდა, ბედის უკმაყოფილო არა ვარ. თქმით ბევრი რამ ვთქვი. იქნებ არც ცუდად, მაგრამ გაგეგონებათ, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, კარგი გამგონე კი საქართველოში ბევრ ჩემზე კარგ მთქმელსაც არა ჰყოლია, ისინიც არ არიან ღირსეულად დაფასებულნი. მე რა პრეტენზია უნდა მქონდეს?

***– თქვენ მაინც იღბლიანი პოეტი ბრძანდებით.***

– მაგ მხრივ მართლაც ბედი მქონია, ადრე ვერც წარმომედგინა, თუ თავიდანვე გამიგებდა მკითხველი, რადგან მაშინ სრულიად ახალი ლექსით მოვედი. მერე უკვე ბევრმა დაიწყო ჩემსავით წერა და ახალი უკვე აღარ ჰქვია ჩემს შემოქმედებას, ჩემს სტილს. მართალი გითხრათ, არც მეგონა, თუ იმ დროს ასე ერთსულოვნად მიმიღებდა ხალხი, მაგრამ მიმიღო.

***– ჩანს, თქვენი ახალი მიდგომა ენის მიმართ, თქვენი ახალი ესთეტიკა... მისაღები გამოდგა ხალხისთვის. თქვენი პოეტური გამოჩენა მართლაც მეხის გავარდნასავით იყო.***

– მერე და მერე, თუნდაც ხუთი-ათი წლის წინათ, სკოლებში რომ მიწვევდნენ, ბავშვები ისე კითხულობდნენ ამ ლექსებს, გაოცებული ვიყავი. ჩემსავით კითხულობდნენ. თავიდან, ადრე თითქოს უჭირდათ ხოლმე. სიყვარულს დიდი მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა. მიდიხარ ქუჩაში, შემოგხარის უცხო ადამიანი, რასაკვირველია, გსიამოვნებს. სიყვარული ყველას სიამოვნებს. ახალგაზრდა რომ ვიყავი, მაშინ ასე არ შემომხაროდნენ. თუმცა, რა დიდი ფიცი და მტკიცი უნდა, ყველა ასაკს თავისი სიხარული აქვს.

***– როგორ გაგონდებათ თქვენი ბავშვობა და ყრმობა? ახალგაზრდობა? ვინ იყვნენ თქვენი მოძღვარნი და მეგზურნი?***

– გეტყვით. სხვათა შორის, უცნაური ამბავი უნდა გითხრათ. ჩემს შემოქმედებაში, ძირითადად სოფელი სჭარბობს. არადა, მე ქალაქელი კაცი ვარ. სოფელში მხოლოდ ზაფხულობით ვიყავი ხოლმე. ქალაქი კი, რა თქმა უნდა, ჩანს, მაგრამ არა იმდენად. ამას პირდაპირ ვამბობ. ჩემს პოეზიაში უფრო მეტად მაინც სოფლის სიყვარული, სოფლის იდილია და სიხარულია. მაშინ ბავშვები ზღვაზე მაინცდამაინც არ დავდიოდით. ზაფხულობით მუდამ არგვეთში მიმიხაროდა. იქ მყავდა ძალიან კარგი ბაბუა, მყავდნენ ასევე ძალიან კარგი მამიდები. არგვეთი მაშინ საჩხერეს კი არა, ჭიათურას ეკუთვნოდა. გაზრდით თბილისში გავიზარდე: პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით. დავამთავრე 25-ე საშუალო სკოლა, ბარნოვის ქუჩაზე. როდესაც მე სკოლაში შევედი, მაშინ ის ქალ-ვაჟთა სკოლა იყო, მერე გაგვყვეს ბიჭები და გოგონები, ვაჟთას მე-7 ეწოდა, ახლა 53-ე სკოლაა.

გულწრფელად უნდა ვთქვა, ვინმე ცოცხალი პოეტი თუ მწერალი მასწავლებლად არ მყოლია. ქართულის მასწავლებელი კი მართლაც სამაგალითო ადამიანი მყავდა – ვარო ვარდიაშვილი. ცნობილი მასწავლებელი იყო. ადრე იოსებ ნონეშვილსაც ასწავლიდა. ჩემთან ერთად სწავლობდნენ დავით მუსხელიშვილი, ნოდარ ნათაძე. ჩვენ ერთი თაობა ვართ. ამ ხალხს ძალიან ვუყვარდი. მაგრამ არავინ იცოდა, თუ ლექსებს ვწერდი. ჩვენი მასწავლებელი პირდაპირ აღმერთებდა ილია ჭავჭავაძეს და ჩვენც გადმოგვდო ეს სიყვარული. ქართული ენის ჩემი პირველი მასწავლებელი დედაჩემი იყო, პედაგოგი გახლდათ, მისგან ბევრი რამ ვისწავლე და, უწინარესად, დიდი სულხან-საბას სიყვარული, სწორედ სულხან-საბა ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე არიან ჩემი დიდი პაპებიცა და უფროსი ძმებიც, რომელბილი მოვდევ ჩემს წილ წუთისოფელს, ყოველთვის გული მტკიოდა, რომ საბას ევროპაში მოგზაურობის პირველი, საფრანგეთის ნაწილი, დაკარგული იყო და ვნატრობდი ნეტავი აღმოჩნდეს-მეთქი. ახლა „სწავლანი“ თქვით ან „სიბრძნე სიცრუისა“ თუ „სიტყვის კონა“. სწორედაც „სიტყვის კონამ“ განაპირობა ჩემი, თუ შეიძლება თქმა, ლექსიკოლოგიური განხრა. ძალიან ბევრი მაქვს ამ კუთხით ნამუშევარი, გამოვაქვეყნე კიდეც ხელნაწერის სახით. მაშინ კომპიუტერი არ იყო და ორმაგი შრომა მიწევდა. თუმცა, აწი, ალბათ, გამოიცემა და ერთი ტომი მთლიანად ეს „ლექსიკონი“ იქნება.

***– იქნებ ორიოდე სიტყვა მშობლებზეც გვითხრათ. თქვენი მშობლების ოთხი გვარიდან, როგორ ფიქრობთ, ვის გვარზე ხტით? თუ ოთხივე გვარია თქვენში ერთ პოეტად შეერთებული?***

– ბებია მამის მხრიდან ბაქრაძე მყავდა, რომლის მხრიდანაც ჩემი ახლო ნათესავი იყო გრიშა აბაშიძე. ბებია მე არ მახსოვს. ერთი წლისა ვყოფილვარ, როდესაც გარდაცვლილა. ბებიაჩემი ბაში-აჩუკის ბაქრაძეების გვარს წარმოადგენდა. დედაჩემი გვარად იაკობაშვილი იყო, დედაჩემის დედა – ტყემალაძის ქალი. იაკობაშვილების სოფელი იყო ჩიხა. დედის მხრიდან გვენათესავებოდა მარიჯანი, პაოლო იაშვილიც ჩვენი უახლოესი ნათესავი იყო, ბაბუისა და ბებიის მხრიდან გვესისხლხორცებოდა. მე პაოლო არ მახსოვს, ექვსი წლისა ვიყავი, როცა გარდაიცვალა მამამისი – ჯიბო იაშვილი. სოფელში ვიყავი, ბლობა იყო, მაისის ბლობა. კუნწულებს ვამტრევდით ბიჭები და ვარიგებდით. გასვენებაზე მთელი საქართველო იყო ჩამოსული. მანქანებს თვლა არ ჰქონდა დაახლოებით 7 კილომეტრზე, საჩხერიდან არგვეთამდე. პაოლოს მამა საზოგადოებრივი და ცნობილი კაცი გახლდათ. ბევრი მაიაკოვსკის მამობასაც აბრალებდა.

***– ახლა, როცა უკვე დიდი პაპა ბრძანდებით, თქვენს მკითხველ საქართველოს თქვენი ოჯახის ამბის გაგებაც ენიაზება, ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები, რა დამოკიდებულებაში არიან თქვენთან, როგორც ესოდენ თვალსაჩინო შემოქმედთან, იციან თუ არა თქვენი ფასი?***

– მე ქალ-ვაჟის მამა ვარ, ჩემი მეუღლე ბოკერიაა, ლამარა. ისე რომ, გიგა ბოკერიასთან კარგადა ვართ (იცინის). ლამარა ჟურნალისტია, ფერეიდნელ ქართველებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის – „შორია გურჯისტანამდე“ სცენარის ავტორია. ირანში ყოფნისას ლამარამ ბიძაჩემის კონსტანტინე მაჭავარიანის საფლავი დაიტირა. ქალიშვილი ნანა აფხაზურის სპეციალისტია და ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობს. ნანას ორი ქალიშვილი ჰყავს – სოფიო და ანა ახმეტელები. ანა უკვე მსოფლიო მნიშვნელობის მოთხილამურეა. იაპონიაში და ამერიკაში ისახელა თავი, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სოფიომ, დაამთავრა ბიოლოგიური, შემდეგ სარექისორო, ჰყავს შესანიშნავი ქალ-ვაჟი. ახლა რატომღაც მასწავლებლობა აიხირა და პირველ კლასიკურ გიმნაზიაში მასწავლებლად მუშაობს.

ჩემი ბიჭი ვანო არეულობის დროს წავიდა აქედან, ემუქრებოდნენ. ხომ იცით, რა დრო იყო. ცოლად აბაშიძე ჰყავს, წავიდა და კანადაში გადაიხვეწა. შესანიშნავად იცის ენები, სწავლა გერმანიაში დაამთავრა, ქიმიკოსია. იცის გერმანული, ინგლისური. ათი წელიწადია ტორონტოში ცხოვრობს. ჰყავს ორი ბიჭი, მუხრანი და რატი. ორჯერ იყო ჩამოსული, მუხრანი ჰყავდა თან, ძალიან ცელქი ვინმეა, ქართული იცის. იმედია, არც რატი შემარცხვენს ქართულის ცოდნაში. ოჯახში ქართულად ლაპარაკობენ. ასე რომ, ოთხი შვილიშვილიდან ორი გოგონა აქა მყავს, ორი ბიჭუნა კი იქ.

***– ხომ არ მიგიწვიეს?***

– გაეხარდებათ, რომ ჩავიდე, მაგრამ წასვლა არ გინდა? ჯერ ამხელა გზა [illegible] და მერე ამხელა გზის ფასი! ევროპაში რომ იყვნენ, კიდევ ხო, ამიტომ ჯერჯერობით ტელეფონით ურთიერთობას ვჯერდებით. ჩემს ბიჭს უბედური იუმორი აქვს, სასტიკი. რომ ჩამოვიდა ვანო აქ, მაშინ აღორძინებასთან ძმურად ვიყავი, ჩავიყვანე და ასლანს ვუთხარი, ეს შენი სიძეა, ცოლი აბაშიძე ჰყავს-მეთქი. სუფრის წევრებს კი საააკაშვილის ძმად გავაცანი – ძმა ძმას კი უნდა ჰგავდეს, მაგრამ ესენი ნამეტანი ჰგავანან ერთმანეთსო, ერთხმად დაიჯერა სუყველამ (იცინის). ეს, რაც ჩემს ოჯახს შეეხება. რა ვიცი, კაცო, მამლუქებად იზრდებოდნენ და პატრიოტები იყვნენ, რაღა ჩემს შვილიშვილებს გაუწყრებათ ღმერთი. მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, უწინარესად ჯერ ჩემიანებს ეხება და მერე სხვას. ღმერთმა არ მომასწროს, რომ ქართველ კაცს, სადაც არ უნდა იყოს, ქართული ლაპარაკი არ ეხერხებოდეს.

***– თქვენი პირველი ლექსი – „საბა“ თქვენთვისაც და ქართული პოეზიისთვისაც ერთგვარი სიმაღლე გამოდგა. ამ დიდებული ლექსის გამოქვეყნებისთანავე მთელი მკითხველი საქართველო პირით თქვენკენ აღმოჩნდა. მკითხველებს ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, სხვას თუ აღარც რას დაწერდით, ეს ერთი ლექსიც გეყოფოდათ ბედაური პოეტის სახელისთვის. თქვენ რას ფიქრობთ, საბასთან ერთად ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან შესულ მეთხუთმეტე კაცად დარჩით თუ საბასთან ერთად განაგრძეთ გზა, თქვენებურად თუ ვიტყვით, მოაქამამდე? ერთი სიტყვით, „საბა“ გადაულახავ უღელტეხილად გექცათ თუ ახალ პოეტურ ბიძგად, რამაც კიდევ არა ერთ პოეტურ სიმაღლემდე მიგიყვანათ?***

– ვიდრე ამ კითხვაზე გაგცემდეთ პასუხს, რა უნდა გითხრათ, იცით? მე ბავშვობიდან ვწერდი ლექსებს, უფრო სწორად, ჯერ წერაც არ ვიცოდი, როცა ლექსებსა ვთხზავდი. მაგრამ გამოქვეყნება არასოდეს მიცდია. სკოლაში რომ ვსწავლობდი, ჩემმა ძმაკაცებმა გივი აზაურაშვილმა, ვასო ფოცხვერიამ, შემდგომ ცნობილმა ადამიანებმა, სულ ზეპირად იცოდნენ ჩემი ლექსები, მეტადრე სახუმარო ლექსები, პირველად სერიოზული ლექსი, მახსოვს, ნიკოლოზ ბარათაშვილის რომელიღაც საიუბილეო თარიღის გამო დავწერე. ჩვენმა ქართულის მასწავლებელმა ვარო ვარდიაშვილმა გამოაცხადა, რომ ბარათაშვილის საღამოზე ლექსის წაკითხვა იყო საჭირო, მან არ იცოდა, თუ მე ჩუმად ლექსებსა ვწერდი. ბიჭებმა იმწუთასვე წამოიძახეს, მაჭავარიანი დაწერსო. ლექსებს წერო? – მკითხა მასწავლებელმა, ისე, რა-მეთქი, – ვუპასუხე. სვიმონ გამსახურდიაც ჩემთან სწავლობდა. ის ნაღდი პოეტი იყო მაშინ. ჩემი ლექსები კი მხოლოდ ბიჭებმა იცოდნენ. ასე შეკვეთით დავწერე პირველი ლექსი ბარათაშვილზე. ახლაც მახსოვს, როგორ მთავრდებოდა:

„შენმა მერანმა დატოვა კვალი,
გზა არ წაშლილა შენგან თელილი,
დღესაც ჭიხვინებს შენი მერანი,
მრავალ ქარტეხილს გადარჩენილი“.

ეს იყო ჩემი პირველი სერიოზული ლექსი. საიუბილეო საღამოზე ნათხოვარი კოსტიუმი მეცვა. ომის შემდგომი წლები იყო. ყველას გვიჭირდა. არ ვიცი, ჩემი ლექსი მოეწონათ თუ ნათხოვარი კოსტიუმის გამო შევეცოდე, ახალი კოსტიუმის ორდერით დამაჯილდოვეს.

როგორც უკვე გითხარით, გრიგოლ აბაშიძე ჩემი ახლო ნათესავი იყო. გაეგო ჩემი პოეტობის ამბავი და დამიძახა. თუ მწერლობას აპირებ, დღეში ორი-სამი საათი

იხ. მე-7 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოეტის იუბილე

# მუხრან მაჭავარიანი: ხალხის ნდობისა და სიყვარულის შენარჩუნება მოპოვებაზე ბევრად ძნელია

(მეექვსე გვერდიდან)

მაინც წიგნები უნდა იკითხოო, მითხრა. მან რომ ორი-სამი საათი მითხრა, მე დღეში ექვს საათს ვკითხულობდი. საჯაროდან აღარ გამოვდიოდი. მახსოვს, ისიც მითხრა, მერე ისე გაგიადვილდება ლექსის წერა, შენ თვითონ გაგიკვირდება, ეს რა ბუნებრივად მეწერებაო. მართლაც ასე იყო, მაგრამ მე მაინც არ მინდოდა ლექსების გამოქვეყნება.

იმხანად გრიგოლ აბაშიძე იყო „ნიანგის" რედაქტორი და ერთხელაც თავის კაბინეტში გამაცნო გიორგი შატბერაშვილი. ეს იყო სასწაულად ღვთისნიერი კაცი. ძალიან დიდი პიროვნება, სახეზე მცნობდა, ერთი ქუჩელები ვიყავით, არაგვის ქუჩელი იყო ისიც და მეც. მაგრამ არ იცოდა, ვინ ვიყავი ან რას ვაკეთებდი, და იქ, კაბინეტში, გრიგოლმა მთხოვა, აბა, მიდი, ლექსი წაგვიკითხეო. მეც ავდექი და წავიკითხე „საბა". გავიდა დაახლოებით ერთი თვე, ისევ შემხვდა გიორგი შატბერაშვილი. ეტყობა, თვალად მანამდეც მოვწონდი, ხომ არის, არ იცნობ კაცს, მაგრამ შეხედავ და მოგეწონება, მერე ახლა, თუ გაიგებ, რომ ჭკუაც ჰქონიაო, მთლად უკეთესი. გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ მე მაშინ ძალიან დიდი წარმოდგენა მქონდა ჩემს თავზე, ახლაც მაქვს, ახლა ისევ დამიბრუნდა, შუალედში არა მქონია (იცინის). თანაც ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ლექსი, რაც დამიწერია, სულ ზეპირად ვიცი. სუყველა უკლებლივ. ერთი სიტყვით, გიორგიმ მთხოვა, მწერალთა კავშირში ერთ-ერთ საღამოზე უნდა გამოხვიდეო. ხათრი ვერ გავუტეხე და წავედი. დეკლამატორი მაშინ იმდენად არ ვიყავი, მაგრამ ხმა კი მქონდა და კარგ წამკითხველადაც ვითვლებოდი. გამოვედი გადატენილ დარბაზში ახალგაზრდა, 20 წლის კაცი. უნდა გითხრათ, რომ კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე. იქ იყვნენ გიორგი ლეონიძე, დემნა შენგელაია, გიორგი ნატროშვილი, სერგო კლდიაშვილი, არ ესწრებოდა გალაკტიონ ტაბიძე, არც ირაკლი აბაშიძე, არც კონსტანტინე გამსახურდია. მოკლედ, შევატყვე, რომ შთაბეჭდილება მოვახდინე, მეორე-მესამე დღეს ქალაქში ხმა გავრცელდა. იმხანად მე გარიცხული ვიყავი უნივერსიტეტიდან (ქართულის გარდა, სხვა საგნებს ვერ ვეგუებოდი). რექტორი ნიკო კეცხოველი იყო. იმ დროს მიწევდა ჯარიც, და შევჩივლე ჩემი გასაჭირი გიორგის, მახსოვს, პარტორგანიზაციის მდივანი იყო, თუ არ მეშლება, ალექსი გომიაშვილი. მან თავად დაურეკა ნიკო კეცხოველს, — კაცო, შენაო, რას აკეთებ, გენიოსებს რიცხავ უნივერსიტეტიდან და ვინ ოხრები გყავანან მანდაო. ვისზე მეუბნებიო, უკითხავს კეცხოველს. პოეტზე გეუბნები, მუხრან მაჭავარიანზეო. არ ვიცნობო, ჰოდა, მოვალთ და გაგაცნობთო. ჩასხდნენ მანქანებში გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, ალექსი გომიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი შატბერაშვილი და კიდევ ვიღაც-ვიღაცეები, ათი-თორმეტი კაცი და მიმიყვანეს ნიკოსთან. მე მოსაცდელში დამტოვეს, თავად რექტორთან შევიდნენ და ცოტა ხანში დამიძახეს. ნიკო თავში ზის, გოგლა უზის გვერდით. გოგლას ვუყვარდი ძალიან და მეუბნება: აბა, მუხრან, წაიკითხე „საბაო". კითხვა რომ დავიწყე და მივედი იმ ადგილას — „მზე ეთხოვება, ალბათ, ახლა ტურფა ტანძიას", გოგლამ ხელი წაჰკრა ნიკოს, შეხედე, შეხედეო. ეს ადგილი მოსწონდა, ეტყობა. ნიკოსთვის „საბა" ძალიან ახალი იყო, „ჭადარს ეტყვის ჭადარი" ერჩივნა, თავადაც წერდა ლექსებს, ნამდვილად კაი ქართველი კაცი იყო და, ჩანს, მიხვდა, რომ ყველას მოვწონდი და უკვე უნდა აღმადგინოს... და აქ მოხდა უცნაური ამბავი: მეცა მყავს გენიოსიო, თქვა ნიკომ. ვინა-ვინაო, ჰკითხეს. სასწრაფოდ მოძებნეს ნოდარ დუმბაძე. აბა, წაიკითხეო, უთხრა ნიკომ. ნოდარმა „დაილოცოს" წაიკითხა. მართლაც კარგი ლექსი ჰქონდა. აი, მეც მყავს გენიოსიო, — წაიამაყა ნიკომ. ასე, გენიოსობის გამო აღმადგინეს უნივერსიტეტში (იცინის).

რაც შეეხება „საბას", მან მართლაც მიიპყრო ყურადღება. „საბა" და საერთოდ ჩემი ლექსები არც ერთ გაზეთში ან ჟურნალში არ დაბეჭდილა. წაკითხვით, როგორც უკვე გითხარით, პირველად 1949 წელს წავიკითხე მწერალთა კავშირში, ხოლო 1952 წელს „პირველ სხივში" დაიბეჭდა. მანამდე ზეპირად ვრცელდებოდა, კითხულობდნენ დეკლამატორები, მაგალითად, გიზო სიხარულიძე. სხვათა შორის, აქვე დაიბეჭდა „ჭადარს ეტყვის ჭადარი", სტალინზე. ნიკოსაგან ვიცი, სტალინს წაუკითხავს. სტალინი რომ იყო ჩამოსული, ნიკოს თავად წაუღია „პირველი სხივი", მე მითხრა, ბელადმა შენი ლექსები ნახაო. ასე, შენ ხარ ჩემი ბატონი, კიდევ რის თქმა შემიძლია „საბაზე"... მართლაც, თუ განსაკუთრებულად კარგი ლექსია, ასევე განსაკუთრებულად კარგი ლექსები აქვთ შოთა ნიშნიანიძეს, მურმან ლებანიძეს, ანა კალანდაძეს... ისე, რომ ვუკვირდები, ჩემი ისტორიული ლექსები ჰაერზე არ დამიწერია. მაგალითად, „მზე ეთხოვება, ალბათ, ახლა ტურფა ტანძიას" — ეს მოგონილი კი არა მაქვს, ეს ჩემს სოფელში მართლაც მაქვს დანახული, აღქმული. მზე რომ ჩადის, ყველგან ლამაზია, ზღვაზეც, მაგრამ მე ჩემს სოფელში განსაკუთრებულად ლამაზად ჩასული მზე მახსოვს. და მერე კიდევ, რაც მთავარია, „ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი", ეს მართლაც მაქვს ნანახი. არგვეთში ჩემს ეზოსთან გადის საჩხერისკენ მიმავალი გზა, და ცხამი არის მთის სოფელი, იქიდან, აღარ მაგონდება იმ კაცის სახელი, მოდიოდა ხოლმე თოვლივით თეთრთმაწვერიანი კაცი (მგონი, უფლისა ერქვა) ხელში მაღალი ჯოხი ეჭირა, არგანი, მოდიოდა და პატარა ბიჭი მოჰყვებიდა — აი, ეს მაქვს დანახული. როცა კი „საბას" ვკითხულობ, სულ ის კაცი მახსენდება. ეტყობა, ასეა, ყველაფერი საიდანღაც მოდის, გრჩება და იწერება.

***— მერე სხვა ენებზეც ითარგმნა არა „საბა"?***

— კი, როგორ არა, პირველი ჩემი მთარგმნელი ევტუშენკო იყო, მან „საბაც" თარგმნა და მთელი ჩემი წიგნიც, რომელმაც მსოფლიო მე-7 ფესტივალზე ლაურეატობა მიიღო. მართალია, თარგმანი დაცილებულია ქართულს („საბა" იმდენად არა), მაგრამ ძალიან კარგი თარგმანებია.

***— დაგცალდა, რომ მოგახლოვებოდა.***

— ხო, ევტუშენკო ნიჭიერი კაცია. ჩემი მეგობარი იყო, ქორწილის შემდეგ ბინაც დავუთმე, ჩემთან ცხოვრობდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ასეთი მეგობრობა გვქონდა. სხვა, რა გითხრათ? საბაზე სხვა ბევრი ლექსიც მაქვს. ასეთია — „ჩემში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი, საბა რომ იყო, სულხანი, მისი; ჩემში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი, შოთა რომ იყო, რუსთველი, მისი". მე ვფიქრობ, რომ უშუალოდ რუსთაველია ჩემში, შეიძლება ეს ვინმემ სხვანაირად გაიგოს, მაგრამ მე ინვერსიულად რუსთაველთან ვგრძნობ ძალიან ნათესაობას. სულხან-საბასთან ხომ თავისთავად. განა იმიტომ, რომ დანარჩენი მწერლები და პოეტები ჩემი მოსაწონები არ არიან, არა, ჩემი სათაყვანებლები არიან აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, სხვათა შორის, ილიას ლექსებიც ძალიან მომწონს, თუმცა, ზოგს რატომღაც თვალში არ მოსდის, გოგლა ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, მაგრამ ეს ორი კაცი, რუსთაველი და სულხან-საბა მაინც სხვაა ჩემთვის. მე მაინც მათთან ვგრძნობ ნათესაობასა და ისინი დიდ სანთლებად მიმაჩნია. ერთი ლექსიც მაქვს ასეთი:

„სიტყვებს, წინაჯართ მიერ გახედნილთ,
დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ,
შობილთ კლარჯეთით, ქართლით,
კახეთით,

ერთად შეკრიბნა რომელნიც საბამ,
ვეალერსები ვითარცა ყვავილთ,
სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით
ყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა..."

რუსთაველის, სულხან-საბას ქართული სიტყვა დღეს საერთოდ მოწყვეტილია ქართულ ფესვებს. ახალი თაობა მოდის და მინდა, რომ უცხო ენების ცოდნამ ხელი არ შეუშალოს მშობლიურის დაუფლებაში. ქართული სიტყვა ძალიან ძლიერი შთაგონების წყაროა. ნიკო მარი ზერელედ კი არ წერდა, ქართული ენა მსოფლიო ენააო. მე მთელი სიცოცხლე ქართული ენის წვდომას შევალიე და ვიცი, რასაც ვამბობ. როგორც ცნობილია, ლეგენდის მიხედვით, უხსოვარ დროს ერთი ენა ყოფილა და მერე დაშლილა სხვადასხვად. ჩემი აზრით, იმ საერთო ენასთან ყველაზე ახლოს ქართული დგას, თუმცა, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ უფრო ახლოს ლიტვური და ლატვიურია. ქართული ენით ისეთი სიტყვები იხსნება, რომლებიც ქართული არ ჰგონიათ. ამაზე მე სპეციალური ნარკვევიც მაქვს და ბევრი მაქვს ნამუშევარი. უბრალოდ, ქართულის შესახებ მსოფლიომ არ იცის. ქართული ენა არის ძალიან დიდი ენა, ქართველი ხალხი არის დიდი ხალხი. რა თქმა უნდა, ნაკლი გვაქვს, ბრექისა და ბღენძის სახით. ქართველი კაცი ზვიადი კაცია. ქართველმა უშუალობით გააოცა მსოფლიო, რასაც თითქმის გადაჩვეულია. სააკაშვილზე რომ ვამბობ, თავისი უშუალობით იმარჯვებს-მეთქი, რაღაცის გამო კი არ ვამბობ, მე ახლა აღარაფერი მჭირდება. სააკაშვილმა სწორედაც თავისი ქართული უშუალობით მოხიბლა მსოფლიო. დღეს კაცობრიობის გაოცება მხოლოდ უშუალობით, მხოლოდ გულწრფელობით შეიძლება. დღეს როგორც უშუალობის, ისე გულწრფელობის კრიზისი და დეფიციტია. ძალით ვერას გახდები.

***— ახლა შეგნებულად თუ შეუგნებლად ბევრს ლაპარაკობენ შემოქმედისთვის იმ მძიმე პირობებზე, მეტადრე ეროვნული სულისკვეთების თვალსაზრისით, საბჭოთა რეჟიმი რომ ქმნიდა. თქვენ რას იტყოდით ამ მხრივ, დაგრჩათ რამე უთქმელი? ან ყოველთვის ვერ ახერხებდით სათქმელის გამოხატვას თუ, პირიქით, ერთგვარი წინააღმდეგობა ახალ შემართებას გმატებდათ? ამას რომ გეკითხებით, მხედველობაში გვაქვს თქვენი ფრიად პატრიოტული ციკლი — „1832" და აგრეთვე ჩინებული — „ვახტანგი".***

— იქნებ უცნაურადაც ჩანდეს, მაგრამ იმ პერიოდში თითქმის ყველაფერი საუკეთესო შეიქმნა. ბრწყინვალე პროზა, ბრწყინვალე პოეზია, მუსიკალური ნაწარმოებები, ფილმები, მხატვრობა. მეც მაშინ დავწერე ყველაფერი. ახლა აღარც ცენზურაა, არაფერი არ არის, არც არავის ზღუდავენ, მაგრამ მე ვერაფერი განსაკუთრებული ვერ დავწერე. მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს, მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ხომ იცით, „სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილიო", — გიორგი ლეონიძესა აქვს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „დილის" რედაქტორად მოსკოვს უნდა დაემტკიცებინე.

„1832" დაბეჭდვა, უნდა გითხრათ, რომ დიდი რისკი იყო. გივი გოგიჩაიშვილმა იყოჩაღა, „მერანში" მან გაუშვა ეს ციკლი. ცენზორი მაშინ მავანი ლეკის ქალი იყო. მივიდა გივი, ბეჭდები დაარტყმევინა და გაუშვა. მერე იმ ქალს ხსნიდნენ, მაგრამ პარტიული საყვედური აკმარეს, უფრო არ გახიახდეს საქმეო. ასე შემთხვევით გაიპარა ის ციკლი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. თანაც ჩემსავით გაბედულად მაინცდამაინც ბევრი არ იქცეოდა, თავს არავინ იკლავდა. არავის არ ვეჯიბრები, ყველა მიყვარს, მაგრამ ნაღდად ვამბობ, მაშინ ბევრი ვერ ბედავდა ბევრ რამეს. ის ადამიანები, რომ აღარ არიან, ვინც ჩემი ავიცა და კარგიც იცოდა, ამაზე მწყდება გული... სხვათა შორის, როცა ერთ-ერთ საღამოზე უნივერსიტეტში გამოვედი და წავიკითხე ლექსი, სადაც საქართველოს მოთმინების ფიალაზეა ლაპარაკი:

„ნაკუწ-ნაკუწ, ნაკუ-ნაკუწ კი არა,
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად —
მიწიანა, კაციანა, ციანა,
საქართველოს მოთმინების ფიალას!"

ერთი ამბავი ატყდა. მერე:

„თუ ფიქრობს ვინმე, გავკმინდოთ ენა,
შენც არ მომიკვდე, არა და ვერა.
შოთა რომ არა,
ვაჟა რომ არა,
ტატო რომ არა,
კიდე ხო, მარა,
ესენი როა?
ესენი როა,
ახლა კი დროა,
ახლა კი დროა, სოლომონ რომა,
კვლავ დაიქუხოს საქართველომა!.."

ამის გამო მომხსნეს და გამაგზავნეს გადასახლებაში — ბულგარეთში. იქ ორი წელიწადი ვიყავი. შევადგინე თანამედროვე ბულგარეთის პოეზიის ანთოლოგია, რომელიც სამჯერ გამოიცა, და იქაურმა ხელისუფლებამ უმაღლესი ეროვნული ორდენით დამაჯილდოვა. მერე ვმუშაობდი კინოსტუდიაში, კაკო ბაქრაძესთან ერთად. მერე მოხდა ისე, რომ აღმადგინეს, დამნიშნეს „დილის" რედაქტორად. დავბეჭდე, არსენა ოძელაშვილი რუსმა მოკლა-მეთქი, — ამის გამო ისევ ატყდა ერთი ამბავი. ყოველდღე მხსნიდნენ, მაგრამ ტყუილს ვერ ვიტყვი, შევარდნაძემ მაინც არ მომხსნა.

გადამიყვანეს ახლა „საუნჯის" რედაქტორად. მერე ამირჩიეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. მალე კავშირიც დავტოვე, რომ მოვიდნენ კიტოვანები, მხედრიონელები და სხვები (იცინის), ისინი კი არ გამომაგდებდნენ, ჯაბა იოსელიანი ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ მაინც დავტოვე.

***— როგორ შეგიძლიათ გამსახურდიადან შევარდნაძემდე პერიოდის შეფასება? რით იყო თქვენი დუმილი განპირობებული?***

— ფაქტობრივად, ამას დუმილი არა ჰქვია. გამსახურდიას შემდეგ

იხ. მე-8 გვ.



მუხრან მაჭავარიანი ოჯახთან: ლამარა ბოკერია, შვილები ნანა და ვანო, 1969 წელი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

პოეტის იუბილე

# მუხრან მაჭავარიანი: ხალხის ნდობისა და სიყვარულის შენარჩუნება მოპოვებაზე ბევრად ძნელია

(მეშვიდე გვერდიდან)

წლებში ჩემი წიგნი გამოიცა მოსკოვში („გიკვირს? ნუ გიკვირს“), თბილისშიც დაიბეჭდა – „არამც და არამც“. შექმნილი შეურიგებელი მდგომარეობის ამსახველი ლექსები იყო ამ წიგნში. ამიტომ დუმილი არა ჰქვია ამას. უფრო სწორად დუმილი რეკავდა, მაგრამ უბრალოდ, იმ არეულობის დროს არავის ეცალა წიგნისთვის.

***– რა საერთო დაინახეთ „მრგვალ მაგიდასა“ და „ვარდების რევოლუციას“ შორის. „ვარდების რევოლუციამ“ თქვენ კვლავ აგალაპარაკათ. როგორ შეაფასებდით ამ რევოლუციის შედეგებს. მოლოდინი გიმართლდებათ?***

– გეტყვით. გამსახურდიას დროს მრგვალი მაგიდის ბლოკში მეორე ნომერი ვიყავი. პირველ ნომრად მასახელებდნენ, მაგრამ ზვიადს უთხრეს, ერთი კაცი რომ გავიდეს, შენ გარეთ დარჩებიო. კარგი ურთიერთობა მქონდა ყოველთვის კონსტანტინე გამსახურდიასთან. როდესაც ზვიადმა თანადგომა მთხოვა, პოლიტიკა რა ჩემი საქმე იყო, მაგრამ უარი არ მითქვამს. ის ფრიად ეროვნული იყო, გამოუცდელობამ, გარემოებამ არ შეუწყო ხელი. არ დასცალდა. ახლა სხვა მდგომარეობაა. სააკაშვილი მცოდნეც არის, ეროვნულიც და გამოცდილიც. მე ხალხის სიყვარულის მოპოვებას თითქმის მთელი ცხოვრება მოვანდომე, შენ კი ეს ათ დღეში მოახერხემეთქი, ვუთხარი სააკაშვილს. ძალიან ბევრი კარგი კაცური თვისება აქვს, ბრწყინვალე ორატორია, ქართულად კარგად ლაპარაკობს, რუსულად, ფრანგულად, ინგლისურად. აზერბაიჯანულიც კი იცის, კაცო (იცინის). მეუღლეც ფრიად უშუალო ქალბატონია, ქართული ისწავლა, მეგრული ისწავლა... ეს ცოტას არ ნიშნავს. გულწრფელობა დიდი ეროვნული მუხტია. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, ამ წყვილზეა ზედგამოჭრილი.

შეფასებებში ნუ ავჩქარდებით, მართალია, საქმეს ყოვლად კარგი პირი უჩანს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო. ორივე არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ სააკაშვილს ხალხის არნახული ნდობა და სიყვარული აქვს მოპოვებული, ახლა შენარჩუნებაა მთავარი. გარეთ გაზაფხულია , ვარდების სურნელის დროა...

***– მკითხველი საქართველო თქვენგან ელოდება გარკვეულ შეფასებას იმისას, რაც დღეს სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი მწერალთა კავშირის გარშემო ხდება. რაში ხედავთ გამოსავალს, რას ურჩევდით თქვენს ძველ კოლეგებს. აგრეთვე საშუალო და ახალი თაობის წარმომადგენლებს? რას იტყოდით ქართული წიგნის დღევანდელ მდგომარეობაზე. ასრულებს თუ არა ქართული მწერლობა თავის დანიშნულებას, თუ გზას აცდენილია, და ხალხს აღარ ესმის მწერლის ხმა?***

– გულახდილად უნდა გითხრათ, მწერალთა კავშირი, როგორც ასეთი მოძველებული ფორმაა. ეს მე ვიცოდი ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს, შვილებს და შვილიშვილებს გეფიცებით, რამდენჯერ ვუთხარი ზვიადს, არ გვინდა, წამოვალ იქიდან, გავაუქმოთ მწერალთა კავშირი-მეთქი. ზვიადმა, მოიცადე, მაგასაც მე დამაბრალებენო, მიპასუხა.

მწერალთა კავშირი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთგვარი ფილიალი იყო. მოგეხსენებათ, ვისიც ფულია, ორკესტრიც იმის დაკვეთას უკრავს. ახლა უკვე ასე აღარ არის. როგორც ყველა სხვა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, საჭიროა ასოციაცია იყოს, ფონდი იყოს, სხვა ფორმა უნდა მოიძებნოს. წიგნის გამოცემა ძვირი ჯდება. გასაღებაც რთულია. ასოციაციას თუ ფონდს თავისი გამომცემლობა უნდა ჰქონდეს. შეძლებულმა ხალხმა, სამწუხაროდ, ხშირად მწერლობის ფასი არ იცის. ადრე იცოდნენ, იყვნენ სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერი კაცი სიღარიბეშიც რაღაცას მაინც დაწერს. ჩემი ნათქვამის დასტურად ვაჟა-ფშაველას მაგალითიც კმარა. იქნებ დღესაც არიან ასეთები, შეიძლება!

***– ბატონო მუხრან, ვუთხრათ თქვენს პატივცემულ მკითხველს, რაზე მუშაობთ ამჟამად და რას აპირებთ სამომავლოდ, თუ ერთ-ორ ახალ ლექსსაც გაგვატანთ, დიდად მადლობელი დაგრჩებით. ცნობილია თქვენი ლექსიკოლოგიური კვლევაც. თუ განაგრძობთ ამ მხრივ მუშაობას?***

– თუ მეტყვიან, ახლა რა გინდაო, ორდენი არ დამანახოთ, საიუბილეო საღამო არ დამანახოთ, ნაღდს გეუბნებით. არაფერი მინდა, ერთის გარდა, თუ დამცალდა, სამტომეულის გამოცემა შემაძლებინოს ვინმემ. ყველაფერი მზად მაქვს: ერთ ტომად ლექსები, მეორე – თარგმანები და მესამე – ლიტერატურული და მეცნიერული წერილები. მზად მაქვს, მაგრამ რა?... ეს არის და ეს. ამაზე ვმუშაობ ამჟამად.

***– იქნებ მოაგონოთ მკითხველს თქვენი ლექსიკოლოგიური კვლევის საგანი.***

– გეტყვით. ძირითადად მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების ქართულ სახელწოდებებს ვაზუსტებ, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ვსწავლობ. იქნებ თამამადაც ჟღერდეს, მაგრამ ნაღდს გეტყვით: არის სიტყვები, რომელთა ამხსნელი და დამზუსტებელი ჩემ გარდა არ არის და არც ყოფილა. ამ სიტყვების არსი დავაზუსტე სპარსული, ბერძნული და კავკასიური ენების შემწეობით. სომხური, მაგალითად, საგანგებოდ ვისწავლე. რაღა თავი შეგაწყინოთ, დიდი შრომაა გაწეული. თუ გამოსვლა ეღირსა, თავად იყო, იმას ასახავდა, ახლაც იმას ასახავს. გაზეთი რა, თან ხომ არ გაჰყვება რომელიმე ხელისუფლებას, მთავარია, რომ თავის ქვეყანასა და თავის ხალხს ემსახუროს.

***– ერთხელ კიდევ სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს, ბრწყინვალე აღდგომას, და გისურვებთ, რომ კიდევ დიდხანს შეგრჩენოდეთ თქვენთვის ჩვეული ომახი. რა ხასიათზე ბრძანდებით 11 აპრილს, თქვენი დაბადების წინა დღეს?***

– ჩემი ასაკის კაცის პირობაზე ცუდად არა ვარ, ვუძლებ, მაგრამ ძალიან განვიცდი, რომ მეგობრები აღარ მყავანან ცოცხალი, ძალიან განვიცდი. ახლა უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ კი არა, ალბათ, დიდუბის პანთეონის დირექტორად უფრო გამოვდგებოდი. სხვათა შორის, ვინც ადრე მაინცდამაინც არ მიყვარდა, ახლა ისინიც შემიყვარდნენ, რა ვქნა, ასე ყოფილა. ამ ადამიანთაგან ბევრს ჩემი ახალგაზრდობიდან ვახსოვარ. პატივისცემა, მართალი გითხრათ, ყოველთვის მსიამოვნებს. ჯერ კიდევ ოცი წლის ბიჭი ვიყავი, როცა თავი გამიყადრეს კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი ლეონიძემ. სხვებზე აღარას ვამბობ. გოგლას სულ თან დავყავდი ყველგან.

მახსოვს, წყნეთში ვართ, გოგლას აგარაკზე საქეიფოდ ასულები. თამადა თვითონ იყო. ყველანი აქებდნენ და ადიდებდნენ. სიტყვის თქმა ნახავთ.

***– ბატონო მუხრან, თქვენ ყოველთვის გულთბილი დამოკიდებულება გქონდათ ჩვენს გაზეთთან. როგორ შეაფასებდით „საქართველოს რესპუბლიკის“ როლს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში. ქვეყნის ხელმძღვანელები იცვლებიან, გაზეთი რჩება. ასეა 1918 წლიდან. ნუთუ გაზეთს დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ამა თუ იმ გარკვეულ პერიოდში ოფიციოზად ყოფნა?***

– ეს გაზეთი ყოველთვის იყო აკადემიური გაზეთი. სახელმწიფოებრივი გაზეთი იყო და არის. მზე და მთვარესავით არის. მზე და მთვარე ხომ არ იცვლებიან, გინდა კომუნისტები მოვიდნენ, გინდა სხვა ვინმე უარესები. ესე იგი, ეს გაზეთი ყოველთვის იყო გარემოების საყვირი. რაც მეც დავაპირე, ამჯერადაც გამაჩუმა. სულ მაჩუმებდა ხოლმე. მერე სუფრიდან გვერდით გაველით, რატომ არ მალაპარაკებ-მეთქი, შევჩივლე. იცით, რა მიპასუხა: როგორ არ გალაპარაკებ, მაგრამ მაგათი თანდასწრებით რომ გალაპარაკო, შენ ნაღდს იტყვი, გულიდან ნათქვამსო, ისინი კი სულ ტყუილებს ლაპარაკობენ, შენი ნათქვამიც ტყუილი ეგონებათო. მე როცა აღარ ვიქნები, მითხრა, მერე თქვი ჩემზე რამეო. ასეთი იყო გოგლა.

***– მომავალს იმედით უყურებთ?***

– იმედით, რა თქმა უნდა. ძალიან მინდა, რომ ბოლოს და ბოლოს სამართალი დამყარდეს, წესიერი წესრიგი.

***– რას ინატრებდით?***

– რას ვინატრებდი და, უფლის აღდგომის დღეს შოთა რუსთაველთან, სულხან-საბა ორბელიანთან, ილია ჭავჭავაძესთან, ვაჟა ფშაველასთან, აკაკი წერეთელთან, გალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან დამსვა სუფრაზე. ერთი დღით მოხდეს სასწაული და ამ დიდ წინაპრებთან მაქეიფა, ოღონდ თამადა მე ვიქნები. ვნახო ერთი, რას მეტყვიან, რას იტყვიან.

***– რასაკვირველია, მხედველობაში გაქვთ საქაო?***

– (იცინის) რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, სააქაო. ისინი უნდა გაცოცხლდნენ. იქ რა მინდა, კაცო. აი, ამას ვინატრებდი.

ესაუბრნენ
**გურამ გოგიაშვილი, ეთერ საბანაშვილი.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.



მუხრან მაჭავარიანი და გურამ გოგიაშვილი.

## მუხრან მაჭავარიანი

## ბოლო რვეულიდან

* * *

ყველამ გამწირა, —
მეგობრისა ვინც იყო მსგავსი:
მიწაზე ყოფნას
ზოგმა ყოფნა არჩია ცაში.
ზოგი მათგანი
ქვეყნის დამქცევს ჩაუჯდა ნავში:
ტყე აიჩეხა, — ტყის ადგილას
ერთი
ხე
დავრჩი.

* * *

ფუჭად ვინც ებრძვის ნოსტალგიას
დღეს კონიაკით
(ვიცნობ! — არ ვიცნობ! — ახლოს
ვიცნობ! — თუ შორიახლოს!), —
შეება უბოროს ღმერთმა ყველა
ექსორიაქმნილს! —
შინით განძებამ
როგორც მკვდარეფო
მისი გუნება! —
მალე ცოცხალეფოს,
იმნაირად,
შინ დაბრუნებამ!

## წახვალ, — მაგრამ...

წახვალ, — მაგრამ, — ვეჟო! —
(თავს ხომ შენსას იცნობ)! —
გაძლებ უთბილისოდ?! —
ვეჭვობ!
წახვალ, — მაგრამ, — კაცო! —
(არაფერი სხვაც რომ)! —
როგორ უნდა გაძლო, —
თუნდაც — უალაზნოდ?!
გაძლებ?!
ვერა —
ვერა! —
ზღვას რამეთუ ყველას —
შენი გიჯობს შენა
ღელე
მაცინცველა!

აპრილი, 2004 წ.



**სულიერება**

### ხვალ მართლმადიდებლები საფლავთა კურთხევას აღნიშნავენ

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მეორე დღეს, 12 აპრილს მართლმადიდებლები საფლავთა კურთხევას აღნიშნავენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოს საპატრიარქოში განუმარტეს, ამ დღეს მორწმუნეები სპეციალურ საკურთხს ამზადებენ, გარდაცვლილი ახლობლების საფლავებზე გადიან და მიცვალებულებს ქრისტეს აღდგომას ახარებენ.

“ამ დღეს სასურველია, მიცვალებულთა საფლავები სამღვდელო პირებმა აკურთხონ“, – აღნიშნეს საპატრიარქოში.

### ქართულ ეკლესიას ახალი ბერ-მონაზვნები შეემატა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით თაბორის მთის ფერიცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენმა ბართლომემ ამავე მონასტერში ბერად აღკვეცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ახალაძე და მას ადამი უწოდა.

გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ კი საგარეჯოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში მონაზვნად აღკვეცა სამონაზვნე ნანა (დიასამიძე) და მას სიდონია უწოდა.

**ნოსტალგია**

### სოფელ ტარძახში ლენინის ძეგლი დგას

ახალქალაქის რაიონის სომხური სოფელი ტარძახი თურქეთის საზღვრიდან ხუთ კილომეტრში მდებარეობს. ტარძახი საქართველოში ერთადერთი სოფელია, რომლის შუაგულში აღმართულ ლენინის ძეგლს დრომ ვერაფერი დააკლო. მოსახლეობა მას დღემდე დიდი სიამაყითა და მოწიწებით უვლის. ძეგლი სოფელში 1936 წლიდან დგას და ეროვნული მოძრაობის წლებშიც კი შეუძლებელი გახდა მისი აღება.

მოსახლეობის განცხადებით, ერთადერთი, რაც მათ კომუნიზმიდან შემორჩათ, დიდი ბელადია, რომელიც კოლმეურნეობის ბედნიერ ხანას ახსენებთ.

სოფელ ტარძახში სულ 250 ოჯახი ცხოვრობს. მათი წინაპრები წმინდა კარაპეტს ერზრუმიდან ჩამოუსახლებია. სოფელში ქართუ- [redacted] უბრობს. აქ ყველა- [redacted] რუბლზე იყიდება, [redacted] ჯეარხები არ უჩვე- [redacted]

### [redacted] აწყობებიდან [redacted] ნობით [redacted] ოიღეს

[redacted] სამინისტროს სპე- [redacted] რში რამდენიმე სა- [redacted]. საგამოძიებო დე- [redacted] თანამშრომლებმა [redacted] ვაჭრე მაღაზიის [redacted] დიდი ოდენობით [redacted] პის ცეცხლსასრო- [redacted] ოიღეს.

[redacted] ფლობელი ივანე [redacted] ნისტროს ანტიტე- [redacted] დეპარტამენტმა [redacted], მის ავტომანქა- [redacted] ლი ხელყუმბარის [redacted] უშიშროების სა- [redacted] ნამშრომლები ამ [redacted] ვშირებით კომენ- [redacted] ებენ.

[redacted] ხი მოგვაწოდა [redacted] მა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რ[redacted]ლიკა“!

ეს იყო

# მოძღვარი

## იოსებ სტალინი

### ნოდარ ჯინის ლიტერატურული ჩანაწერი

მაოც წამოდგა. უხმაუროდ. ჩემსკენ გამოდგა ნაბიჯი და მხარზე ხელი დამადო. მისი თვალები ფოლადივით ლაპლაპებდა. შემდეგ მიუბრუნდა თარჯიმანს და რამდენიმე მოკლე წინადადება წარმოთქვა.

სანამ ში ჯე თარგმნიდა, მაოს მფარველურად ედო ხელი ჩემს მხარზე, და ისე მიყურებდა, თითქოს პირველად მხედავდა.

– მე მესმის თქვენი. თქვენ ლოგინში უნდა ჩაწვეთ. და კიდევ იფიქროთ. მაგრამ თუნდაც ერთ რამეს უნდა დამპირდეთ. თუ არ გსურთ, ამერიკამ გაიგოს, რომ ჩვენთან ხართ, სხვა რამეს დამპირდით. მოგვყიდოთ იარაღი. უბრალოდ, მოგვყიდოთ. როგორც ისინი თავად ყიდიან. ჩვენ მათთან, თვითონ ვიომებთ.

მოკლე პაუზის შემდეგ, მოვიცილე მისი ხელისგული და „სხვა რამეს დავპირდი".

– გპირდებით, რომ დავფიქრდები... – და მივუბრუნდი ვალეჩკას, – ვალენტინა ვასილიევნა, უთხარით ორლოვს, რომ მანქანა გამოიძახოს. ამხანაგ მაოს შინ წასვლა სურს.

## ყველაფერი ეს ვაშლის ხეზე უარესია

დროის კარადასთან მარტო რომ დავრჩი, როგორც დავპირდი, დავიწყე ფიქრი. იარაღზე – არა. იარაღს, რა თქმა უნდა, ჩინელს მივყიდი. ვფიქრობდით, მისი სიმართლისა რომ მესმის, არ მსურს, ჩემეულ გაგებას მივყვე.

მეჩვენებოდა, რომ ჩემში ვიღაც ჩასახლდა და ნებისყოფა გამითიშა. და დამასუსტა, დამასუსტა როგორც ადამიანი.

მესმოდა, რომ ეს იოსკას მოსვლასთან იყო დაკავშირებული. და ადასტურებდა მოძღვრის შესახებ ჩემს დაეჭვებას. მაგრამ სწორედ ეს მიბნევდა თავგზას. ადამიანმა ღმერთი დაკარგა და მოულოდნელად მეც დავსუსტდი. ძალა გამომეცალა.

ჩემზე ძლიერი რომ მეგონა, თავად სუსტი აღმოჩნდა. მაგრამ მე, მეტი ძალის ნაცვლად, სულში შიში ვიგრძენი. აღმოვაჩინე ჩემთვის ყველაზე უცხო რამ, ის, რაც ჩემი არ იყო – დაბნეულობა.

ნამდვილი ღმერთი ნამდვილივე ადამიანი აღმოჩნდა. ცხოვრებაში პირველად დავრწმუნდი, რომ მოძღვარზე ძლიერი აღმოვჩნდი. მაგრამ ზეიმის ნაცვლად შევშფოთდი.

ნუთუ მოულოდნელი სიბერეა? ერთი საღამოს განმავლობაში ძალიან მოულოდნელი. რამდენიმე საათი. მეტი – არა. რადგან თავის მოძღვარზე უფრო ძლიერად და ჩემზე უფრო ძლიერად დღეს იგრძნო თავი მაომ, მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, ამის გამო უფრო გამბედავი და კადნიერი გახდა.

იგი თავის თავზე უფრო ძლიერიც გახდა: „ჩვენ თვითონ ვიბრძოლებთ!"

ჩინელი მართალია, – ჭეშმარიტება ძალაშია. იმაში, რაც ჩემში ყოველთვის მოჭარბებულად იყო, ვიდრე ადამიანებში. მაგრამ ამჯერად ის, ვინც ჩემში შემოიპარა, აღარ მიბრუნებდა ჩემსავე საკუთარ ძალას. ისე კი არა, რომ ხელთ იგდო და აკავებდა. არამედ სადღაც ჩემსავე თავში დაკარგა.

ის კი არა, რომ უცებ დავსუსტდი, არა. მე ვიგრძენი, რომ ჩემი ძალა გადაიკარგა. თუმცა არსად არ დაკარგულა, კვლავ ჩემში რჩება, მაგრამ არ ვიცი – სად.

ყველაზე მეტად დამთრგუნველი აღმოჩნდა ყველაზე მეტად გაუგებარი: ვერავითარ სიძულვილს ვერ ვგრძნობდი ჩემში ჩასაფლავებული მტრისას. პირიქით, მე მას ვუსურვებდი... იქ ყოფნას. და წარმატებასაც კი.

მაოს წინააღმდეგ.

ჩემსავე წინააღმდეგ.

ყველა ადამიანის წინააღმდეგ.

ხმამაღლა გავიმეორე ბოლო წინადადება და განვცვიფრდი მოულოდნელად გამხელილი ჭეშმარიტების გამო. დიახ, დიახ, დიახ, ყველა ადამიანის წინააღმდეგ.

ადამიანის წინააღმდეგ.

---

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 78, 79, 80, 81. 82.

რადგან მასში ჩასახლებულია ეშმაკეული. და დაარწმუნა, რომ იგი, ადამიანი, საკუთარ თავზე უკეთესია, სუფთაა, სამართლიანია და ძლიერი.

რომ მასში, როგორც ყველაფერ არსებულში, არის სიკეთეც და ბოროტებაც. ანგელოზი და ეშმაკი. და მას შეუძლია მათ შორის უკეთესის არჩევა და გადარჩენა.

და რომ ასარჩევია სიკეთე. ხოლო როცა აირჩევ, მისთვის უნდა იბრძოლო. ებრძოლო საკუთარ თავს. გარესამყაროს, არსებულს.

იბრძოლო გადარჩენისთვის.

რისი გადარჩენისთვის? რისგან?

საკუთარი თავისა საკუთარივე თავისაგან? თუ სხვათაგან? თუ სხვებისა – შენგან?

სატანა დუმს. მისი საქმეა, იყოს ჩასახლებული და არა შეკითხვებზე პასუხის გამცემი, მისი საქმეა, შთაგაგონოს, რომ იგი შენში ზის.

შთაგაგონოს, რომ, მთავარია, იცოცხლო. ხოლო იცოცხლო, ეს არის – გქონდეს ძალა და მისი გაძლიერების უნარი. რადგან უამისოდ წარმოუდგენელია ბრძოლა. საკუთარივე თავის წინააღმდეგ. ყველაფერთან, რაც არსებობს. უამისოდ ბოროტებას ვერ ამოძირკვავ.

და რომ ადამიანი საკუთარ თავზე უკეთესია, ზეცასა და დედამიწაზე უკეთესი. და არ შეიძლება, უბრალოდ არსებობა, როგორც არსებობს ვაშლის ხე. და სხვა ყველაფერი დედამიწაზე, რაიც ადამიანი არ არის. რომ მხოლოდ არსებობა სულმდაბლობაა. და რომ მიწაზე ყოფნა, ეს არის ბრძოლა იმისთვის, რომ ზეცად ამაღლდე. საკუთარ თავთან ბრძოლაა. ყველაფერ არსებულთან.

ცხონება:

ზეციური სამეფო.

ახალი იერუსალიმი.

ოცნება.

მიზანი.

იმედი.

ბრძოლა სატანასთან.

ყველაფერი ეს ადამიანია, სატანის საუფლო ჯოჯოხეთის მოციქული.

და ბოლოს, ეს ყველაფერი უარესია, უარესია, უარესია, ვიდრე ვაშლის ხე.

## ამინდი გაფრთხილებასავით იყო...

ჩემში შემოსული და ჩემში მყოფი მსგავსს არაფერს არ ჩამჩურჩულებდა. იგი მხოლოდ არსებობდა ჩემში. და თავისი არსებობით მევე მიმალავდა ჩემსავე ძალას. და ყველა ეს აზრი, ვხდებოდი მე, ჩემს თავში ამოატივტივა უძალობის შემოტევამ.

მაგრამ ეს უძალობა სისუსტე კი არ არის, არამედ სხვა რამ. სხვა ძალა. ის, რომელმაც ჩემი ძალა ჩემშივე უსარგებლო გახადა. ადრინდელი ძალა. რომელიც ჩემში სწორედ იმიტომ დაიკარგა, რომ მოულოდნელად გადაიქცა სხვა, ჩემთვის უსარგებლო ძალად.

მიმოვიხედე. სასტუმრო ოთახში სიჩუმე იდგა. და არ იყო მოძრაობა. მხოლოდ დროის კარადის ქანქარა მოუსვენრობდა – და, როგორც ყოველთვის, თავისი წიკწიკით სიცარიელის მკვრივ ქაფში ხვრეტდა წერტილებს. გამახსენდა უწინდელი შეკითხვაც: მაინც რომელ უკიდურესობათა შორის ირხევა სიცოცხლის არსში ჩაწვდომის ქანქარა?

ჩემსა და საათს შორის შუაგზაზე იდგა სკამი, რომელზეც იოსკა იჯდა. სკამი ცარიელი იყო. წავიდა იოსკა, თუ ჩემში ჩასახლდა? მისი ცარიელი სკამის გვერდით სხვა იდგა. ასევე ცარიელი. წავიდა ლავრენტი, თუ ჩემში ჩასახლდა?

სხვა მხარეს გავიხედე. წავიდა მაო, თუ ჩემში ჩასახლდა?

უცებ მეჩვენა, რომ მთელი სამყარო ჩუმია და ცარიელი, სხვა არაფერი მირიადი ცარიელი სკამების გარდა. ყველა ადამიანი სადღაც წახვეტილიყო. ყველა უცებ გაქრა წამიერ და უხმაურო არმაგედონში.

დავრჩი მე მხოლოდ... მაგრამ გაქრა ყველა, თუ ჩემში ჩასახლდა?

სიცოცხლის არსის წვდომის ქანქარა ამჯერად ორ ერთნაირ პასუხს შორის ირხეოდა.

შემცივდა. მძიმედ წამოვდექი ჩემი სკამიდან, დავხედე, ესეც უკვე ცარიელია. გადავლასლასდი კაბინეტში. მაო მართალია: „თქვენ უნდა ჩაწვეთ ლოგინში"... რომელიც მე არ მქონდა.

მქონდა დივანი. დავხედე და ცისფერ გადასაფარებელს დავუწყე ძებნა. ჩერჩილისეულს.



ვიპოვე, დავბერტყე და გამახსენდა ვაშლის ხე. მივედი ბაღში გამავალ კართან და შუშას ავეკარი.

არა, მას არ სციოდა: ... ქარი არ არხევდა ტილოს. ქარი ჩამდგარიყო.

და თოვდა ბარაქიანად, მშვიდად და ვერტიკალურად – სწორი თეთრი სპიცები თეთრ ცასა და თეთრ დედამიწას შორის.

როგორც წვიმის ძაფები ქუმრანის უდაბნოში, რომლებიც მას აკავშირებდა უფერულ ზეცას იმ დღეს, როცა იოსკაში მოძღვარი გარდმოვიდა. „ამინდი გაფრთხილებასავით იყო", – გამახსენდა.

## დაიხსომე შენი თავი, მაცხოვარო!

ჩაძინების წინ გამომეცხადა მოძღვარი. ისეთი, როგორიც ბავშვობაში მინახავს. ჯვარზე გაკრული. ეკლიანი გვირგვინით გასისხლიანებულ შუბლზე. მშრალი ტუჩებით. ქუთუთოებით დაფარული თვალებით. რომელთაც მხოლოდ სულ ბოლოს გაახელს. რათა აღაპყროს თვალები ზეცისკენ, და სულს ამოაყოლოს „აღსრულდა!" და კვლავ ჩაჰქინდროს თავი.

კაცობრიობის გადასარჩენად.

ასე დავინახე ყველაფერი. მან ჩაჰქინდრა თავი, სული ამოაყოლა და გადაარჩინა კაცობრიობა.

მაგრამ შემდეგ აღარ იყო ბავშვობის ზმანება. არ იყო თავსხმა წვიმა. „ზემოდან ქვემომდე" არ „ჩაიხა ტაძრის ფარდა", არ „იძრა მიწა" და არ „დასკდნენ კლდენი".

მსგავსი არაფერი მომხდარა...

განვლო ხანმა.

ჯვარს ქვემოთ მდგარი ხალხი გაიფანტა. ზეცაში თანდათან მინელდა ნათელი. და როცა თითქმის აღარაფერი დარჩა, მოძღვარმა გაახილა თვალი... ირგვლივ იყო სიჩუმე და არ ჩანდა არავინ.

მე კი ვერ დამინახა, რადგან შიგნიდან ვუცქერდი. ჩემი კი არა, მისივე სხეულის სიღრმიდან, თვალი თვალში გავუყარე. და გავშეშდი: იოსკას თვალები იყო!

წამოვხტი დივანიდან და გავქვავდი: განძრევისაც კი შემეშინდა. ამოსუნთქვისაც: რადგან არ ვიყავი მარტო. ჩემში სატანა იჯდა. იოსკა!

მომატყუეს! იოსკამ და ლავრენტიმ. ძალა გამომაცალეს! სატანა ჩაასახლეს ჩემში! ჩამინერგეს, რომ ცხონების გზა არ არსებობს! არ არსებობს ზეციური საუფლო! არ არსებობს ბრძოლა, არ არსებობს კეთილი და ბოროტი! არაფერი არ არსებობს!

არც არმაგედონი არის.

... საკუთარ თავს დამშვიდება ვუბრძანე. შევხედე ნადიას. შემდეგ ბუხრისკენ გავემართე. დავისხი „არარატი". დავლიე და კვლავ დავისხი. და კვლავ დავლიე.

შემდეგ დივანთან დავბრუნდი და ჩამოვჯექი...

ყველაფერი მარტივია: სატანას არ სურს არმაგედონი – და ჩემში შემოიჭრა. მომიგზავნა კი ლავრენტიმ.

რომელიც შემდეგ, მეფის ტახტამდე მაინც რომ ვერ მიაღწევს, მოიგონებს სხვა ლეგენდას: თითქოს ჩემში, როგორც ყველა ადამიანში შემოვიდა ქრისტე, რომელმაც ჩემივე ძალა დამიმალა და აღასრულა ღვთის ნება – გადაარჩინა კაცობრიობა.

და რომ იგი მან, ლავრენტიმ წარმომიგზავნა...

ახლა უკვე მშვიდად ვსუნთქავ. ახლა ჩემში სიმშვიდეა. იოსკა სადღაც კუნჭულში გაყუჩებულა. მიხვდა, რომ მისი აღსასრულის დღე დადგა. მიხვდა, რომ ბოროტების აღსასრულიც დგება. მან და ლავრენტიმ მაინც ვერ მოახერხეს ჯვარზე გავეკარით.

მიხვდა, რომ მე ვერ დავივიწყებდი ხალხს. ვერ მივატოვებდი მას ბედის ანაბარა. არ შემიძლია, არ გადავარჩინო იგი.

როგორც გვასწავლიდა მოძღვარი: „ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი, რათა მშვიდობა მომეტანა ამ ქვეყნად: მშვიდობის მომტანად კი არ მოვედი, არამედ მახვილისა.

ვინც ჰპოვებს თავის სულს, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისთვის დაჰკარგავს თავის სულს, მოიპოვებს მას".

ჩამეცინა, იოსკას თვალები რომ წარმოვიდგინე, გამოღვიძებულზე რომ გამოვიძახებ და მახვილზე რომ ჩამოვუგდებ სიტყვას. და აღვმართავ მას ლავრენტის თავზე! ყველას თავზე, ვისაც არ სურს ან ეშინია ცხონების!

სული გამითბა. მე ვგრძნობდი ამ წუთის ბედისწერისეულ სიდიადეს. მომინდა რაღაც მეთქვა მომავალი ლეგენდის გამო.

– დაიხსომე, თავი შენი, მაცხოვარო, სატანა შენს შეცდენას რომ აპირებდა, მას შემდეგ! – ჩავილაპარაკე, – ცხონების წინა დღეს! არმაგედონის წინა დღეს!

თუმცა უცებვე ჩამეცინა. შემდეგ გავიხადე კიტელი და გავიძვრე შარვალი. ვერანდაზე გასასვლელ კართან მივედი, სარკის ანარეკლში ჩემი თავი დავინახე და გამეცინა: ესეც შენი დაღრეცილი ფეხები ცისფერ კალსონებში და გაბერილი მუცელი სამოცდაათწლიანი მაცხოვნებლისა.

... ჩერჩილისეული გადასაფარებელი კარგად შემოვიკეცე და დავიძინე, როგორც ბედნიერმა პატარამ დიდი დღესასწაულის წინ. როგორც პატარამ, რომელმაც სიზმარში თავისი სათამაშოები ჩაიყოლა.

## იქ კვლავ იწყებოდა მარადისობა

ის, რაც შემდეგ შემემთხვა, სწრაფად მოხდა.

ისიც კი, რაც სიზმარში იყო.

გამომეცხადა კაცობრიობა სრულად. გლობუსი კი არა, ხალხი, რომელიც სრულადვე და მყისიერად რომ დამენახა, დაბლა დავეშვი. მზისქვეშეთში. ოქროსფერი სინათლის ფართე სხივებით. არა მხოლოდ პროჟექტორების სხივებში, როგორც დღეს კრემლის თავზე, არამედ ზეციურ ისრებში. ღმერთის ისრებში.

და მთელი ეს მილეთის ხალხი, თავაწეული ისეთივე თვალებით შემომცქეროდა, როგორითაც იმ საღამოს წითელ მოედანზე ადამიანები ტკბებოდნენ ჩემი ხატებით, უხილავ სფეროებს ცის კაბადონზე რომ ეკავა. სიყვარულით, ერთგულებით სავსე თვალებით და გადარჩენის იმედით.

„ხალხი მელოდება", უწინდებურად ჩამესმა ნადიას ჩურჩული. მაგრამ უწინდებურადვე პასუხად ჩავჩურჩულე ჭეშმარიტება: „ცოდვაა, თუ შევიცოდებ..."

ამ სიტყვებთან ერთად შევათამაშე თითები და დაიწყო იგი – დიადი ბრძოლა არმაგედონთან, სადაც სატანას დიდი ხანია, რაც შეკრებილი ყავდა დედამიწის ყველა მეფე უთვალავი ჯარით...

... როცა გაიფანტა კვამლი – აღარავითარი ხალხი ჩემს ქვემოთ აღარ იყო. იყო სიჩუმე. და იყო ერთიანი უდაბურობა. დედამიწის კიდით კიდემდე. შავი და ხმელი ბალახით დაფარული.

თუმცა სიჩუმე მარადიული არ ყოფილა. შორით სალამური აკვნესდა. მალე მისი ხმა უფრო გაბედული გახდა და მათგან, სალამურის ხმათაგან, ნაცნობი სიტყვები გავარჩიე. ეს ჩემი სიტყვები იყო – სულ პირველი ჩემი ლექსის:

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი..."

* * *

... დილით დარეკა ტელეფონმა.

– ორლოვი ვარ, ამხანაგო სტალინ!

– რაო?

– ეს-ესაა ველაპარაკე ამხანაგ ბერიას. ორჯერ დარეკა.

– ვიცი, არავითარი ხაჭაპური!

– ხაჭაპურზე ადრე დარეკა. ახლა კი – გუშინდელ მაიორზე.

– რაო.

– მაიორი ცოცხალი აღარ არის, ამხანაგო სტალინ.

ყურმილი მეორე ხელში გადავიტანე.

– რაოო?

– ამხანაგო სტალინ, მაიორმა პაპისმედოვმა თავი მოიკლა. მაიორმა პაპისმედოვმა თავი მოიწამლა.

კვლავ ხელიდან ხელში გადავიტანე ყურმილი.

– მოიწამლა? ვინ გითხრა?

– ამხანაგმა ბერიამ.

– ბერიამ?!

* * *

კვლავ თოვდა, ისე მშვიდად და ჩუმად, რომ, ალბათ, ახლა ყველგან თოვდა. მთელს მსოფლიოში. შუბლი ცივ შუშაზე დავუშვი, და ჩემი ციყვების თვალებით შევხედე ჩემსავე თავს. ისინი ტანასვეტილები ყურადღებით შემომცქეროდნენ...

ეს არის იოსებ სტალინი.

ასეცაა. მე ვარ სტალინი.

მაგრამ ციყვები მხოლოდ აღფრთოვანებულნი კი არ იყვნენ ჩემით, არამედ შეწუხებულებიც. ეშინოდათ რამე ცუდი კვლავ არ დამმართოდა.

მაგრამ ცუდი უკვე შემემთხვა. ყველაზე უარესი. რადგან დამარცხება სიკვდილზე უარესია. სიკვდილის შემდეგ არ ღირს არაფერი.

არაფერი მოძღვარივით აღდგომის გარდა.

ციყვებმა სუნთქვა შეწყვიტეს.

– უქმდება! – ვუთხარი, მაგრამ მათ ვერ გამიგეს.

– გადარჩენა არ გვიწერია! – განვუმარტე და ავხედე ზეცას.

იქ კვლავ და მოულოდნელად იწყებოდა მარადისობა.

(გაგრძელება იქნება).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 83, კვირა, 11 აპრილი, 2004 წელი.




# ამერიკელები ჯორჯ ბუშის პოლიტიკით უკმაყოფილონი არიან

**ბოლო გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ამერიკელთა ნახევარზე მეტს სადღეისოდ არ მოსწონს ის მეთოდები, რომლებსაც პრეზიდენტი ბუში იყენებს ერაყში შექმნილი ვითარების მოწესრიგებისთვის.**

ერაყში ამ ბოლო დღეებში გამართულმა სისხლისმღვრელმა შეტაკებებმა, სადაც ერთი კვირის მანძილზე ათობით ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, მოახდინეს გავლენა ამერიკელთა საზოგადოებრივ აზრზე: თუ ტელეკომპანია „სი-ენ-ენის“ და ჟურნალ „ტაიმის“ მიერ მიმდინარე წლის მარტის დამლევს გამართულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამერიკელთა 51 პროცენტი დადებითად აფასებდა ბუშის ადმინისტრაციის მოქმედებას ერაყში, ახლა ეს პროპორცია 44 პროცენტამდე შემცირდა.



გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ ამერიკელთა 51 პროცენტი უარყოფითად აფასებს ბუშის მოქმედებას ერაყში. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ასეთი შედეგი სავსებით ბუნებრივია მას შემდეგ, რაც ტელევიზია ერთი კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს გადმოსცემდა ინფორმაციებს ერაყში მიმდინარე სისხლისმღვრელი შეტაკებებისა და ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს შორის დანაკარგების შესახებ.

ერაყის დედაქალაქის აღების პირველი წლისთავი, რომელიც ამერიკელებს დაამახსოვრდათ ბაღდადის ერთ-ერთ ქუჩაზე სადამ ჰუსეინის ძეგლის დამხობის ამსახველი კადრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული ზარ-ზეიმის გარეშე აღინიშნა.

გაიზარდა იმ ამერიკელთა რიცხვი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ომმა ერაყში კიდევ უფრო გაამწვავა ტერორიზმის საფრთხე.

მართალია, ერაყში შექმნილი ვითარება გამოკითხულ ამერიკელთა ნახევარზე ნაკლებს თუ მოსწონს, მაგრამ პრაქტიკულად არც ერთ ცნობილ პოლიტიკოსს არ მოუთხოვია ჯარების გამოყვანა ერაყიდან. გაცილებით უფრო ხშირად გაისმის მოწოდებები ერაყში ჯარების რიცხვის გაზრდის ან ერაყელთათვის ხელისუფლების გადაცემის ვადის გადაწევის შესახებ.

თეთრ სახლს ფრთები შეასხა იმან, რომ ამერიკელთა უმრავლესობა – 55 პროცენტი 39 პროცენტის წინააღმდეგ – კვლავ დადებითად აფასებს ბუშის ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, გამოკითხულთა მხოლოდ 41 პროცენტმა გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, თუ როგორ უძღვება ბუში ეკონომიკას, როცა 54 პროცენტი ამას ნეგატიურად აფასებს.

თეთრი სახლის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გამოკითხულ ამერიკელთა საერთო რიცხვის ნახევარზე ოდნავ ნაკლები, სამწუხაროდ, დღემდე დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში გრძელდება ეკონომიკური დაქვეითება, მაშინ როცა ამას მოელო ბოლო ჯერ კიდევ 2001 წლის ნოემბერში, და მას შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს უწყვეტი აღმასვლა.

2003 წლის ბოლო კვარტალში ქვეყნის ეკონომიკა არნახული ტემპებით ვითარდებოდა.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში უდიდეს პრობლემად რჩებოდა სამუშაო ადგილების რიცხვის ნელი ტემპით ზრდა. მაგრამ, ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის მარტში ქვეყნის ეკონომიკაში შეიქმნა 308 ათასი ახალი სამუშაო ადგილი.

გამოკითხვის ზოგიერთი შედეგი ახარებთ პრეზიდენტის მომხრეებს: მაგალითად, იმ ამერიკელთა რიცხვი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ 2001 წლის 11 სექტემბრამდე ბუშის ადმინისტრაციამ იღონა ყველაფერი ტერორისტული აქტების თავიდან აცილებისათვის, ერთი კვირის განმავლობაში 42 პროცენტიდან 48 პროცენტამდე გაიზარდა.

თეთრი სახლის ყოფილი მრჩეველი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში რიჩარდ კლარკი ამტკიცებდა, რომ ბუშის ადმინისტრაციამ სათანადოდ არ შეაფასა ტერორისტთა საფრთხე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისმა კი განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაციამ, პირიქით, ყველაფერი იღონა საამისოდ, რომ აღეკვეთა ეს საფრთხე. ბოლო გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ამერიკელები რაისს უფრო მეტად ენდობიან, ვიდრე კლარკს.

# აღდგომის დღესასწაულისთვის უშიშროების ზომები გაამკაცრეს

**რომის პაპი ხელმძღვანელობდა ჯვრის აღმართვის ტრადიციის ცერემონიას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალია აღდგომის კვირას. სანთლებით ხელში უამრავმა ადამიანმა ჩაიარა რომში, კოლიზეუმის მახლობლად. თუმცა, ეს საზეიმო ღონისძიებები მიმდინარეობს უშიშროების უზრუნველყოფის გადიდებული ზომების ფონზე.**

მსვლელობის მონაწილეებს მოჰქონდათ ხის ჯვარი, რომელიც თვით პონტიფექსს მიართვეს.

ჯვრის აღმართვის ცერემონიაში ათასობით ადამიანი მონაწილეობდა.

გასულ წლებში გამართულ ანალოგიური ცერემონიების დროს ხის ჯვარი თვითონ იოანე-პავლე მეორეს მოჰქონდა, მაგრამ ახლა მას ჯანმრთელობის მდგომარეობა აღარ აძლევს ამის საშუალებას.

მიმდინარე წელს პოლიციამ კიდევ უფრო გაამკაცრა უშიშროებისთვის გამიზნული ღონისძიებები, რადგან არსებობს ტერორისტული აქტების განხორციელების საფრთხე. სპეცსამსახურებს აქვთ მონაცემები იმის თაობაზე, რომ აღდგომის დღესასწაულის დღეებში იტალია და ვატიკანი შესაძლოა გახდეს ტერორისტულ თავდასხმათა ობიექტები.

საჰაერო სივრცე რომის ირგვლივ დაიხურა თვითმფრინავების ფრენისთვის, წმინდა პეტრეს მოედნისკენ მიმავალი მთავარი გზებიც რამდენჯერმე გადაიკეტა, პოლიციელები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მიმდინარე პროცესებს.

პარასკევს რომის პაპმა ტრადიციისამებრ, მოისმინა რამდენიმე მორწმუნის აღსარება. ამჯერად ასეთი პატივი წილად ხვდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ 6 ქალს და 5 მამაკაცს.

შემდეგ, პონტიფექსმა მიიღო მონაწილეობა წმინდა პეტრეს ტაძარში გამართულ წირვა-ლოცვაში, რომლის დროსაც მორწმუნეები იხსენებენ იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ საათებს.

შაბათს საზეიმო ღონისძიებები გაგრძელდა სააღდგომო ვიგილიის მესით.

სააღდგომო ზეიმის კულმინაცია გახდება კვირას ტრადიციული მესა წმინდა პეტრეს მოედანზე, რომელშიც რომის პაპი მიიღებს მონაწილეობას. მოელიან რომში ათასობით ადამიანის ჩამოსვლას.



# დემოკრატებს მიტინგის გამართვა აუკრძალეს

**კანონი მიტინგების შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც გასულ კვირას ამდენი მითქმა-მოთქმა იყო, ჯერ არ მიუღიათ და, როგორც „ერთიანი რუსეთის“ ლიდერები აცხადებენ, ამ საკანონმდებლო აქტიდან ამოიღებენ სკანდალურ შესწორებას, რომელიც კრძალავს ადამიანების შეკრებას სახელმწიფო დაწესებულებების შენობათა წინ.**

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კანონპროექტი სწორედ თავდაპირველი სახით მიიღო მოქმედებისათვის სახელმძღვანელოდ მოსკოვის ხელისუფლებამ. რუსეთის დედაქალაქის მთავრობამ საპირველმაისო მსვლელობის გამართვა აუკრძალა დემოკრატებს.

დაგეგმილი იყო საკმაოდ მასშტაბური მსვლელობის გამართვა, რომელშიც 6 ათასამდე კაცს უნდა მიეღო მონაწილეობა.

დემოკრატებს, რომელთა შემადგენლობაში იქნებოდნენ „იაბლოკოს“ მემარჯვენე ძალთა კავშირის, „კომიტეტ-2008“, ჯარისკაცთა დედებისა და მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის სამართალდამცველების წარმომადგენელთა ჯგუფები, აპირებდნენ მოსკოვში მისულიყვნენ ლუბიანკის მოედანზე და გაემართათ მიტინგი კომუნისტური რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლთან.

მართალია, ის ადგილი, სადაც დემოკრატები აპირებდნენ მიტინგის გამართვას, საკმაოდ მოშორებულია უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობისგან, მაგრამ მიტინგების შესახებ ახალი კანონის თანახმად, თუ, რა თქმა უნდა, ამ კანონს მიიღებენ, დემონსტრაციების გამართვა აკრძალული იქნება, რადგან კანონი ყოველგვარი საპროტესტო აქციებისგან იცავს სახელმწიფო დაწესებულებებს. ამის თაობაზე ასეთი განმარტება გააკეთა სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ ვასილიევმა: „არის ისეთი ადგილები, სადაც ადამიანების თავმოყრა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს“.

თავის მხრივ, მოსკოვის მთავრობამ, რომელმაც აუკრძალა მიტინგის გამართვა დემოკრატიულ ძალებს, დაიმოწმა პრეზიდენტის მიერ ჯერ კიდევ 1993 წელს გამოცემული ბრძანებულება დემონსტრაციების გამართვის წესის შესახებ. მერია, კერძოდ, პრეტენზიას აცხადებდა იმაზე, რომ მსვლელობის გამართვის შესახებ შეტყობინებაში არ იყო მითითებული აქციის დაწყებისა და დასრულების დრო.

„ეს მხოლოდ საბაბი იყო, – განაცხადა პარტია „იაბლოკოს“ ლიდერმა გრიგოლ იავლინსკიმ. – რომ მოეთხოვათ, ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვეძლო გვეცნობებინა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ყველა დამატებითი მონაცემები“.

საპირველმაისო დემონსტრაციის აკრძალვით, მოსკოვის ხელისუფლებას, უბრალოდ სურს ასიამოვნოს კრემლს, თქვა ჟურნალისტმა იულია ლატინინამ, რომელიც ოპოზიციური ინტელიგენციის ორგანიზაციის „კომიტეტ-2008“-ის წევრია.

„ლუჟკოვი დემოკრატი არ არის. მას მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს, შეინარჩუნოს თავისი ადგილი. იგი ყოველმხრივ ცდილობს თავი მოაწონოს კრემლს“, – მიაჩნია ლატინინას.



# ავარია კუზბასის შახტში

**კემეროვოს ოლქის ქალაქ ოსინიკის „ტაიჟინის“ შახტში პარასკევს ღამით ავარია მოხდა, რომლის შედეგადაც ექვსი კაცი დაიღუპა.**

ავარიის მომენტისთვის მიწისქვეშ 50-ზე მეტი კაცი იმყოფებოდა. 13 კაცის ამოყვანა მოხერხდა, რომელთაგან სამი ადგილობრივ საავადმყოფოში მოათავსეს. ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ რა ბედი ეწია 30-ზე მეტ მაღაროელს.

ქალაქ ოსინიკიში ჩავიდა კემეროვოს გუბერნატორი ამან ტულეევი.

ჯერჯერობით არ არის დადგენილი ავარიის მიზეზები. სავარაუდოდ, უბედური შემთხვევა გამოიწვია მეთანის აფეთქებამ.

ავარიის ადგილზე მუშაობს სამთო-მაშველთა რამდენიმე ბრიგადა.

პირველი ქვანახშირი „ტაიჟინის“ შახტში 2001 წლის აგვისტოში მოიპოვეს. იქ 600 მეშახტე მუშაობს.

„რია“ „ნოვოსტის“ ინფორმაციით, უკანასკნელად ავარია „ტაიჟინის“ შახტში 2002 წლის სექტემბერში მოხდა. მაშინ 100 მეტრის სიღრმეზე ჩამოინგრა ქვის ქანები, რომლებმაც ქვეშ მოიყოლა სამი გვირაბგამყვანი. ერთი მათგანი მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

შარშან ავარია მოხდა როსტოვის ოლქის „ზაპადნაიას“ შახტში. მაშინ მიწისქვეშა წყლებმა გაარღვია შახტის კედლები და ტყვეობაში მოაქცია 46 მაღაროელი. ამ ავარიის შედეგად ერთი მეშახტე დაიღუპა, მაღაროელის გვამი ვეღარ იპოვეს.

რუსეთის ქვანახშირის შახტებში ავარიები საკმაოდ ხშირად ხდება, რაც ნაწილობრივ, გამოწვეულია ინფრასტრუქტურის ცვეთით, უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების უგულებელყოფითა და არასაკმარისი დაფინანსებით.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
**ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჭადრაკი

# საგზურები თექვსმეტწლიანებმაც გაინაწილეს

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. გოგონათა და ვაჟთა შორის ჩემპიონები ასპარეზობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გამოვლინდნენ – თელავის IV საშუალო სკოლის მეათეკლასელი ბელა ხოტენაშვილი (მწვრთნელი გოგი მაჭარაშვილი) და თბილისის 162-ე სკოლის მეცხრეკლასელი თორნიკე სანიკიძე (მწვრთნელი ვალიკო ურიდია) რვა შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულით მდევართათვის მიუწვდომელი გახდნენ. 8-8 მოჭადრაკე მეორე ადგილებზე გასვლის შანსს ინარჩუნებდა. ეს შეჯიბრება შესარჩევი ტურნირიც იყო და ვერცხლის პრიზიორებს ევროპელ თანატოლებთან გაჯიბრების უფლება ეძლეოდათ (ჩემპიონები მსოფლიო პირველობაზე ითამაშებენ).





სანიკიძემ ბოლო ტურშიც ჩინებულად ითამაშა და ექვსქულიან გაიოზ ნიგალიძეს სძლია. საბოლოოდ 8,5 ქულა მოაგროვა. მას 1,5-1,5 ქულით ჩამორჩნენ დავით ბენიძე, გიორგი მარგველაშვილი და ვაჟთა ტურნირის მონაწილე ერთადერთი გოგონა სოფიკო გურამიშვილი (ბოლო ტურში სოფომ შავი ფიგურებით ვახტანგ მორჩილაძეს დააყრევინა ფარ-ხმალი). II-IV ადგილები მათ, უკეთესი კოეფიციენტით, სწორედ ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა გოგონებშიც. ბოლო ტურში ნაზი პაიკიძე და ბელა ხოტენაშვილი დაზავდნენ, თეონა მესხმა ანა ბუცხრიკიძეს სძლია (არადა, ყაიმის შემთხვევაში ბუცხრიკიძე II ადილზე გადიოდა), ქრისტინე მჟავიამ თეონა ღურჭუმალიძეს მოუგო.

საბოლოოდ ხოტენაშვილმა 8 ქულით გაიმარჯვა. 6,5-6,5 ქულით, შესაბამისად, II-IV ადგილებზე მჟავია, მესხი და პაიკიძე გავიდნენ.

ამდენად, ხოტენაშვილი და სანიკიძე მსოფლიო პირველობაზე ითამაშებენ, მჟავია და ბენიძე კი ევროპელ თანატოლებთან პაექრობაში მოსინჯავენ ძალებს.

**ია გავაშელი.**

ძალოსნობა

# სრული გუნდით – კიევში



**საქართველოს** ძალოსნებმა შარშან შორეულ კანადაში მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება ვერ შეძლეს. არადა, ვანკუვერში ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურები განაწილდა. სალიცენზიო ტურნირისთვის მაშინ გიორგი ასანიძე მზად არ იყო. ფედერაციის ხელმძღვანელობამ კი შეჯიბრებაზე მხოლოდ ახალგაზრდული გუნდით გამოსვლა მიზანშეუწონლად ჩათვალა. სამაგიეროდ, ჩვენი ნაკრები ახლა ემზადება მონდომებით ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც 17-26 აპრილს უკრაინის დედაქალაქი უმასპინძლებს.

– კიევში სრული გუნდით ვიასპარეზებთ, – მითხრა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გურგენიძემ** – საქართველოს სპორტულ ღირსებას 8 სპორტსმენი დაიცავს. სავარაუდოდ, ესენი არიან: ზვიად სამუკაშვილი და პაატა მოდებაძე (56 კგ.), თემურ ლომთაძე და ზაზა აბულაძე (62 კგ.), გელა სიხარულიძე (69 კგ.), დავით პავლიაშვილი, თემურ ჩხეიძე (77 კგ.) და გიორგი ასანიძე (85 კგ.) აუცილებელია, ფიცარნაგზე გამოვიდეს რვავე სპორტსმენი, რადგან მათ მიერ დაგროვებულ ქულებზეა დამოკიდებული ათენის ლიცენზიების მოპოვება. ჩვენი უშუალო კონკურენტები იქნებიან ესპანეთის, ლიტვისა და ალბანეთის წარმომადგენლები. გუნდურ პირველ ადგილს თუ დავიკავებთ, ორ ლიცენზიას ავიღებთ, მეორე-მესამე ადგილებზე გასვლის შემთხვევაში მხოლოდ ერთი საგზური შეგვხვდება.

მართალია, მთელი ზამთარი სიცივეში გავატარეთ – გათბობა და ცხელი წყალი არ გვქონდა, – მაგრამ ვარჯიში არ შეგვიწყვეტია. ოლიმპიური ფონდის ფინანსური დახმარებით ორი ოცდარვადღიანი საწვრთნელი შეკრებაც შევძელით, რისთვისაც დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ბატონ ბადრი პატარკაციშვილს. რაც შეეხება ჩვენი გუნდის ლიდერს – გიორგი ასანიძეს, იგი უკვე კარგა ხანია, პოლონეთში იმყოფება და თავისი პირადი მწვრთნელის ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით ემზადება. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატისთვის ის აღიდგენს სპორტულ ფორმას და სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს მეტოქეებს.

ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაგვაფინანსებს. თუმცა, როგორც ვიცი, კიევში წასასვლელ თანხებთან დაკავშირებით არის გარკვეული პრობლემები. თუ ისინი დროულად არ მოგვარდა და გუნდმა ჩემპიონატზე სრული შემადგენლობით ვერ იასპარეზა, შესაძლოა, ულიცენზიოდ დავრჩეთ.

**ესაუბრა ლექსო ცინცაძე.**

ყოველი მხრიდან



## შეჩერდით, სად გეჩქარებათ?!

**ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტი მაქს მოსლი ძალზე შეშფოთებულია „ფორმულა-1"-ის შეჯიბრებებზე სიჩქარის სისტემატური ზრდით და ფიქრობს მის შესაჩერებლად რბოლის წესების შეცვლას. მისი აზრით, ბოლიდების სიჩქარე იზრდება მრავალი ფაქტორის ერთობლიობით, რისი გაანალიზებაც სავსებით შესაძლებელია.**

„ფორმულა-1"-ში წლეულს სიჩქარე ძალზე გაიზარდა, – აღნიშნავს მაქს მოსლი – მალაიზიაში მიხაელ შუმახერმა მეორე კვალიფიკაცია ერთბაშად 4 წამით მოიგო. დიახ, ამას გააჩნია ობიექტური მიზეზები – ავზში საწვავის მცირე რაოდენობა, ასფალტის მაღალი ტემპერატურა, მაგრამ საქმე მხოლოდ ერთადერთ სწრაფ წრეში როდია. გუნდები FIA-ს აწვდიან ზუსტ ტელემეტრიას და ჩვენ შეგვიძლია, განვსაჯოთ, თუ რამდენად გაიზარდა სიჩქარე მოსახვევებში".

ფედერაცია სერიოზულად ფიქრობს რეგლამენტის ცვლილებების ვარიანტებზე, რაც არ დაუპირისპირდება მოქმედ ხელშეკრულებას, მაგრამ ამავე დროს შესაძლებელს გახდის ბოლიდების სიჩქარის შემცირებას. ცვლილებები სეზონის ბოლოსთვის გამოქვეყნდება.

ტექნიკური ჯგუფები წინადადებებით უნდა შევიდნენ, თუ როგორ შეანელონ მანქანები. ეს კი მოკლე ხანში უნდა გააკეთონ, არადა, ამას შემდეგ ფედერაცია თავად შეცვლის წესებს, თუმცა კონსტრუქტორებს რამდენიმე ვარიანტს შესთავაზებენ.

## ახალი სააგენტოს უფლება-მოვალეობანი

**რუსეთის მთავრობის ამასწინანდელი რეორგანიზაციის შემდეგ, მოგეხსენებათ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ფედერალური სააგენტო.**

მთავრობის ახალმა თავმჯდომარემ მიხეილ ფრადკოვმა ხელი მოაწერა დადგენილებას, რომლითაც განსაზღვრულია ახალი სააგენტოს უფლება-მოვალეობანი.

სააგენტო განახორციელებს სამთავრობო ფუნქციებს ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროში, გასწევს სახელმწიფო მომსახურებას, უპატრონებს სახელმწიფო ქონებას.

ახალი სააგენტოს ძირითადი ფუნქციები იქნება: ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანებების აკრედიტიზაცია და რეესტრის წარმოება, აგრეთვე, საქმიანობა მასობრივი სპორტისა და ფიზიკური აღზრდის განვითარებისთვის.

ამასთან, სააგენტო პასუხისმგებელია როგორც სრულიად რუსეთის, ისე საერთაშორისო ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაზე. რაშიც იგულისხმება, აგრეთვე, რუსეთის ნაკრები გუნდების ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობების მატერიალურ-ტექნიკური, სამწვრთნელო, სამედიცინო და დოპინგსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა.

## თავი ცირკში გეგონებოდა

**სწორედ რომ ასეთი შთაბეჭდილება დატოვა მონაწილეებსა და მაყურებლებზე ამ უჩვეულო ტურნირმა.**

წესების თანახმად, შეჯიბრების მონაწილეებს ჩვეულებრივი სარბენი თხილამურებით უნდა გადაელახათ ტრამპლინებიანი და მკვეთრ-მოსახვევებიანი 900 მეტრი. ტრასა უფრო „ბორდ-კროსისათვის" იყო განკუთვნილი, ამდენად ძალზე რთული დასაძლევი აღმოჩნდა.

გაიმარჯვა გერმანელმა პეტერ მლიკენრიდერმა.

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ხალიჩიდან – ფიცარნაგზე, II ნაწილი

ტრადიციისამებრ, მიხეილ ღვინჯილიამ (დაიბადა 1985 წელს) სპორტის საყვარელი სახეობის – თავისუფალი ჭიდაობის ერთ-ერთი დამხმარე კომპონენტის – ძალისმიერი მომზადების გასაუმჯობესებლად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის დარბაზს მიაშურა და დღემდე იქ ღვრის ოფლს. მის დაოსტატებას საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ნიკოლოზ სარალიძემ მოჰკიდა ხელი და მალე პირველი წარმატებაც მოიპოვა – ქვეყნის ჭაბუკთა ჩემპიონი გახდა ძალისმიერ ორჭიდში და ვიმედოვნებთ, მალე ათლეტიზმში სპორტის ოსტატობასაც მიაღწევს.

დღეს გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს ტრენაჟორებზე მიხეილ ღვინჯილიას შესრულებით.



1

**მკერდის კუნთების ვარჯიში**

**1. ტრენაჟორის სახელურების მოწევა ერთმანეთთან შეხებამდე (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**2. ბლოკის სახელურების ჩამოწევა ერთმანეთთან შეხებამდე (სურ. 2, 3).** სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**ზურგის უგანიერესი კუნთების ვარჯიში**

**3. ბლოკის ღერძის ჩამოწევა ზურგს უკან (სურ. 4).** სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**მხრის სამთავა კუნთების (ტრიცეპსების) ვარჯიში.**

**4. ბლოკის ღერძის ჩამოწევა ხელების გამართვამდე (სურ. 5).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**მხრის ორთავა კუნთების (ბიცეპსების) ვარჯიში.**

**5. ტრენაჟორის კლაკნილი ღერძის ამოწევა დახრილ სიბრტყეზე დაყრდნობილი იდაყვებით (სურ. 6).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
**ჯავარ ლომაძის ფოტო.**



6



2



3



4



5

მხოლოდ შედეგები

**ფეხბურთი**



**XV ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპის IV ტური.**

**I-VI ადგილები:**

„ვიტ ჯორჯია" – „დინამო" 1:0,
„თბილისი" – „ლოკომოტივი" 5:1,
„დილა" – „სიონი" 0:4.

**VII-XII ადგილები:**

„ტორპედო" – „კოლხეთი" 3:2,
„ბათუმი" – „მცხეთა" 0:1,
„მერცხალი" – „სპარტაკი" 0:2.

**უეფას თასი**




**1/4 ფინალი. I რაუნდი.**

„სელტიკი" – „ვილიარეალი" 1:1,
„მარსელი" – „ინტერი" 1:0,
„ეინდჰოვენი" – „ნიუკასლი" 1:1,
„ბორდო" – „ვალენსია" 1:2.

**კალათბურთი**



**ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატის IV წრე.**

„დინამო" – თსუ 87:72,
„მაქაბი" – სტუ 98:92.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 83, კვირა, 11 აპრილი, 2004 წელი.

ისტორია

# ასე ვრცელდებოდა ქრისტიანობა კოლხეთში

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, დასავლეთ საქართველო – ისტორიული კოლხეთი – ქრისტეს პირველმოციქულთა დროინდელი ქრისტიანობის გავრცელების არეალში შედიოდა. საქართველოში ქრისტიანობის ახ. წ. I საუკუნიდან გავრცელების შესახებ მოგვითხრობენ არა მარტო ქართული, არამედ ახ. წ. III-IV სს. და მომდევნო ხანის უცხოური წყაროებიც (ევსევი კესარიელი, ეპიფანე კვიპრელი, დოროთეოს ტვირელი, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, სოფრონი, „პასქალური ქრონიკა“, „საეკლესიო ანალები“). ამ მონაცემების მიხედვით, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში წმ. ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, იუდა ისკარიოტელის ნაცვლად მოციქულად არჩეულმა მატათამ (მათე) და ქრისტეს სხვა პირველმოციქულებმა გაავრცელეს. ამასთან, სვიმონ კანანელმა და მატათამ სამუდამო განსასვენებელი ადგილი დასავლეთ საქართველოში (ნიკოფსიასა და აფსაროსში) ჰპოვეს. ამდენად, საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, ქრისტიანობა კოლხეთში ახ. წ. I საუკუნიდანვე იწყებს გავრცელებას.



რამდენად დამაჯერებელია ეს გადმოცემები და საერთოდ, როგორ თავსდება ყოველივე ზემოთქმული იმ დროს კოლხეთსა და საერთოდ რომაულ აღმოსავლეთში შექმნილ ისტორიულ ვითარებასთან?

ქრისტიანობა ჩაისახა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, კერძოდ, პალესტინა-იუდეაში. ქრისტიანული იდეები სწრაფად გავრცელდა რომის პოლიტიკურ სისტემაში ჩართულ სხვა ქვეყნებშიც. კოლხეთი ამ დროს, როგორც გეოპოლიტიკურად, ასევე კულტურულად, მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომის აღმოსავლურ პროვინციებთან. იგი შედიოდა პროვინცია კაპადოკიის შემადგენლობაში და წარმოადგენდა რომაული სამყაროს აღმოსავლური ოიკუმენის ნაწილს. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდა მცირე აზიის ცენტრებთან გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და ახ. წ. 70 წელს რომაელთა მიერ იერუსალიმის დანგრევისა და იუდეველთა აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ, ებრაელთა მასობრივი ემიგრაციის დროს, ლტოლვილთა დიდი ნაკადის შემოსვლა საქართველოში. კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ზღვისპირა ქალაქებში დისლოცირებული რომაული გარნიზონები, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ადრექრისტიანულ გადმოცემებში ფრიად პოპულარული XII Fulminata (ელვისებური) ლეგიონის ცალკეული შენაერთები. ეს იყო ძველი სირიული ლეგიონი, რომელიც ადრიდანვე ითვლიდა თავის რიგებში ბევრ ქრისტიანს. XII ლეგიონი მონაწილეობდა იერუსალიმის ალყაში, ხოლო შემდეგ, 70-72 წწ. ტიტუს ფლავიუსის მიერ გადავიდა კაპადოკიაში. რამდენადაც, კოლხეთი შედიოდა კაპადოკიის პროვინციის შემადგენლობაში, მის სანაპირო პუნქტებში მდგომი რომაული გარნიზონებიც დაკომპლექტებული იყო XII ლეგიონის ცალკეული ვექსილაციებით.

XII Fulminata (ელვისებური) ლეგიონი ქრისტიანობის ისტორიაში ცნობილია ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი ერთგული მიმდევრობითა და დიდი თავგანწირვით.

იხ. მე-13 გვ.

კურთხეულ იყოს მათი სახსენებელი!



ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როცა მოვიგონებთ, რომ არ ვიცით სადაა საფლავი შოთა რუსთაველისა, როცა გაგვახსენდება, რომ არ ვიცით, თუ სად განისვენებენ ძვლები ივანე მაჩაბლის და სხვა.

დამწუხრებულნი ვტირით ჩვენს ძვირფას საფლავებზე და რაც უფრო მწარედ ვტირით, მით უფრო ვგრძნობთ სიყვარულს ამ საფლავებისადმი ისე, როგორც დატყვევებულნი ებრაელნი სტიროდენ ბაბილონის მდინარეთა ნაპირზე, და რაც უფრო მწარედ სტიროდენ, მით უფრო გრძნობდენ დაკარგულ თავისუფლებას, როდესაც ვასაფლავებთ ძვირფას თანამემამულეებს, შევიკრიბებით ერთად და საფლავის წინაშე გამოთქმულ სიტყვით, ფრთხილად, გაუბედავათ, შეშინებული გამოვთქვამთ, ვამბობთ ჩვენს გულისტკივილებს... სასაფლაოზე ძილს მოუცავს ერთმანეთს გადახვეული ჯვრები, ხეები და იასამანი. აქ თვითეულს ებლანდება თავისი ორეული, მიცვალებული. და რამდენი ძვირფასი საფლავებითაა მოფენილი საქართველოს ყოველი კუთხე. იზრდება და მძლავრდება ახალგაზრდობა, ისინი სცვლიან მოხუცებს, წელი წელს მისდევს, საუკუნე საუკუნეებს და ძვირფასი საფლავებით მუდამდღე იფინება ჩვენი სასაფლაოები. ახვევიათ ამ საფლავებს სამარადისო ძილი და არავინაა, რომ ისევ აღადგინოს მათი სხივმოსილი და მშვენიერი დიდება. მაშინ, როდესაც მხოლოდ აქ შეგვიძლია ჩავიხედოთ წარსულის სარკეში და დავინახოთ ჩვენი მეოცნებე სახე, როგორც ხანდახან მყუდრო საღამოს ზღვის ყურეში გარინდებული გემის ჩრდილი ლაჟვარდ ზედაპირზე. აქ ცხოვრების ხმაურობა ისმის შორიდან, როგორც ზღვის ღელვა. აქ ყველაფერი სიმშვიდეს მოუცავს, აქ ყველაფერზე ღრმადაა გაყოლებული იდუმალება, საიდუმლო. ამ უზარმაზარს, ბნელსა და ერთი შეხედვით ცარიელ სივრციდან, როდესაც მირაჟი მკრთალი და მინაზებული, მშვენიერი და ლამაზი წარსულის ანარეკლს ისვრის, ჩვენი სული იღვიძებს და მზად არის ისევ აანთოს ჩამქრალი ან დაფარული სიამაყის სანთლები.

## გალაკტიონ ტაბიძე

# ძვირფასი საფლავები

არსად ისეთი დიდებული დასაფლავება არ იციან, როგორც საქართველოში. დასაფლავების დღეს საქართველოს ყოველი კუთხიდან, თვით მისი მიყრუებული ადგილებიდანაც, ჩამოდის მრავალი ხალხი. უწინ ამათი გამოხმობა მხოლოდ სრულიად საქართველოს მეფის სიტყვას შეეძლო და შემოსული მტრის მოსაგერიებლად ქუდზე კაცი ჩამოდიოდა; ახლა სხვაა, ჯაჭვ-ჯავშანი სამშობლოს დასაცველად აღარ არსებობს და ფშავ-ხევსურნი ჩამოდიან პატარა, მაგრამ პატიოსანის კალმის ძალით, რომელიც დღეს ძველი მეფის სიტყვაზე ნაკლებ არა სჭრის. დასაფლავება იღებს ნაციონალური მოვლენის სახეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედარის გადმოსვენება თბილისში დღესაც ბევრს ახსოვს, ეს მოხდა ოცდაექვსი წლის წინად, დიდებული დასაფლავება იყო... გაბრიელ ეპისკოპოზის გასვენების გამო მემატიანე აღნიშნავს: სიგრძე კორტეჟის ორი ვერსი იქნებოდაო. ასეთივე იყო ილიას, აკაკის, ვაჟას დასაფლავება; ბევრი ცრემლი დაღვარეს ეგნ. ნინოშვილის, არჩილ ჯორჯაძის, ჭოლა ლომთათიძის დასაფლავებაზე და

მოვიგონოთ ხალხი, რომლებიც აშენებდენ უზარმაზარ, საშვილიშვილო სამრეკლოების დიდ კედლებს, რომლებიც რეკავდენ ამ მაღალ სამრეკლოებზე და ფოლადის ზარებზე გულდადებით სჭრიდენ თავიანთ სახელებს... მოვიგონოთ მოწამენი, რომელთაც თავი დასდვეს თავიანთი სარწმუნოებისათვის, რომლებიც ღვთისმსახურებას ასრულებდენ თავიანთ სალოცავ ტაძრებში და მთრთოლვარე ხელით ანთებდენ სანთლებს მშვენიერების წინ. ვიფიქროთ მათი წამების ჯვარზე, მათ ტანჯვაზე, მათ ცრემლებზე, ვიფიქროთ სასაფლაოზე, სადაც დამშვიდებით განისვენებს ამდენი წარსული, შორეული და დავიწყებული, ვიფიქროთ მათზე, რომელთაგანაც დარჩა პატარა რვეულები, ბალახი სასაფლაოზე და ქვები ვინაობის ზედწარწერით.

კურთხეულ იყოს მათი სახსენებელი! მათ საფლავებზე მწუხარე ძაძით მოსილ ქვრივივით დგანან ნაძვები.

ისინი წავიდნენ და არასდროს არ დაბრუნდებიან.

1919 წ.

სანთელი

# და ნიგნიც გაქრა ავტორთან ერთად...

მეტად სამწუხარო ამბავი შემატყობინეს თბილისიდან – ჩემი ძვირფასი მეგობარი, დიდებული პოეტი და ჟურნალისტი ლაშა გახარია გარდაცვლილა...

უმალ ჩვენს საერთო მეგობარს გიგლა გობეჩიას დავურეკე. ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია ლაშას ლექსები, ბევრჯერაც გვითხოვია მისთვის, თავი მოეყარა და წიგნად გამოეცა ისინი.

– არაო, ჯერ ადრეაო! – ჯიუტად იმეორებდა.

სასტიკად მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი...

გიგლასგან გავიგე, რომ ცოტა ხნის წინათ ლაშას ლექსების ორი კრებული დაბეჭდილა.

მაშინვე შინ დავრეკე, დავაზუსტე, – ხომ ნამდვილად გამომიგზავნეთ-მეთქი?

დამიდასტურეს – ერთი და სამკილოგრამიანი ბანდეროლები გამოუგზავნიათ დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ცენტრალური საფოსტო განყოფილებიდან. გადაუხდიათ 66 ლარი. ერთ ბანდეროლზე დაკრულია ოცდაჩვიდმეტი (?!) მარკა, რომელიც ბეჭდით თერთმეტჯერაა დამოწმებული!

– ბანდეროლები ჩვენს თვალწინ შეფუთაო მეტად სათნო ქალბატონმა, – მითხრეს ჩემებმა.

ამერიკაში გზავნილები დაუზიანებლად მივიღე. გამოდის, რომ ლაშა გახარიას



არაჩვეულებრივი შეხვედრა მოუწყვესო მშობლიურ რაიონში, წიგნის პრეზენტაციის დროს...

სამწუხაროდ, უკანასნკლი აღმოჩნდა მისი გამოსვლა ფართო საზოგადოების წინაშე...

* * *

ორი კვირის წინათ თბილისიდან მორიგი ფოსტა გამომიგზავნეს. დღეებს ვითვლიდი, ისე მეჩქარებოდა, რაკი ვიცოდი, რომ ლაშას წიგნს მიგზავნიდნენ...

როგორც იქნა, ფოსტა მოვიდა. ყველაფერი უკლებლივ მივიღე – კობა ხარაძის მიერ შედგენილი ენციკლოპედიური ცნობარი ქართველ მოგზაურებსა და გეოგრაფებზე; პროფესორ სოსო სიგუას მიერ შედგენილი აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის წიგნი – „ჩვენ გვაქვს საერთო სამშობლო“, ლინა ბარათაშვილის „მზითვის წიგნი“, ჟურნალ „პრეს-პრემიერის“ ბოლო ნომრები, ოცდაათამდე სხვადასხვა გაზეთი. მაგრამ, სამწუხაროდ, ლაშა გახარიას წიგნი აღარსად იყო!

ლექსების კრებული სადღაც, თბილისსა და ნიუ-იორკს შორის, „აორთქლდა“...

თავდაპირველად აღვშფოთდი. ფაქსის გამოგზავნას ვაპირებდი საფოსტო განყოფილებაში, მაგრამ გადავიფიქრე. იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ... გამიხარდა კიდეც!

ცუდ წიგნს ვინ იპარავს? ცუდ წიგნს მაკულატურად აბარებენ. ზოგჯერ უფრო მკაცრადაც ექცევიან – საჯაროდ წვავენ, თუმცა ამას უფრო „ცუდი“ ავტორის „ხათრით“ სჩადიან...

თავი დავიმშვიდე – ვინც ის წიგნი ამოიღო, ალბათ, ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარული იყო, ლაშას წიგნის ფასი და ყადრი იცოდა, მაგრამ ყიდვის საშუალება არ ჰქონდა-მეთქი.

მე კიდევ გამომიგზავნიან ლაშას ლექსების კრებულს. ასე რომ, ალალი იყოს, ვინც წაიღო...

* * *

ძვირფასო ლაშა! ვაგლახ რომ, ჩვენი შეხვედრა 1999 წლის 2 ნოემბერს, გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ, უკანასკნელი აღმოჩნდა...

იმ დღეს ვაჟა ეგრისელი და ნარო კოლხელიც შემოგვიერთდნენ. ტრანსპორტის ხმაურს გავერიდეთ, გამომცემლობის ეზოში შევედით. იქ, შედარებით სიმყუდროვეში, წაგვიკითხე შენი „ოდა სიყვარულს“... გაგვაოცე, გაგვაოგნე, მაგრამ ჩვენი თხოვნა, – შენი ლექსები წიგნად გამოგეცა, – კვლავ შორს დაიჭირე...

ორი კვირის შემდეგ ამერიკაში წამოვედი, თორმეტი თვით. სამწუხაროდ, გამიგრძელდა აქ ყოფნა – ოთხი წელია, აქ ვარ...

ვაგლახ რომ, ამიერიდან ვერასოდეს გავიგონებ შენს ხმას...

ისე, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...

ყველანი მივუვალთ მამა-პაპათა...

მხოლოდ ერთსა ვთხოვ უფალს – ჩემს ბედკრულ სამშობლოში დაბრუნებამდე ნუ დამიღამებს გზასავალს. შემდეგ – მოხდეს, რაც მოსახდენია...

...ძვირფასო ლაშა! სხვა არაფერი შემიძლია, თორმეტ აპრილს, როდესაც ჩვენში მიცვალებულთა ხსოვნის დღეს აღნიშნავენ, კლივოტერში წავალ, ბერძნულ ეკლესიაში, სანთელს დაგინთებ და უფალს შევავედრებ შენს სულს...

**ჯუმბერ ჯიშკარიანი,**
**ფლორიდა, აშშ.**

ლექსი

# წუთები ხსოვნის ტოტებს არწევენ...

მერცხლები ლამაზ ხაზებს ავლებენ,
მაგრამ ხაზები ჰაერში არ ჩანს...
წყენით მიმზერენ დედის თვალები,
თითქოს უთქმელი რაღაცა დარჩა.

მე დედის სურათს შევყურებ დიდხანს,
სიმძიმისაგან მტკივა მუხლები.
დედას თვალებით სურს რაღაც მითხრას,
მაგრამ მე სათქმელს ვეღარ ვუხვდები.

წუთები ხსოვნის ტოტებს არწევენ,
ჭვრიდან კი დედის წუხილი რეკავს...
ლოდზე ოქროსფრად დაყრილ წარწერებს
პატარა ჩიტი კენკავს და კენკავს.

**ანა ქველიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გიული ჭოხონელიძე - 75

# კეთილი პირქუში



**დღეს მსურს ჩემი მოგონებები მივუძღვნა ჩვენი კურსის მომდევნო იუბილარს (რამდენიმე თვის წინათ გურამ საღარაძეზე გესაუბრეთ), ნიჭიერ, ღრმად შემოქმედ ადამიანს, ჩემი ახალგაზრდობის მეგობარს, მსახიობსა და რეჟისორს — გიული ჭოხონელიძეს...**

ამ ადამიანზე ისე ვერ ილაპარაკებ, როგორც ყველაზე.

მას ყველაფერი უჩვეულო აქვს: პირადი ბიოგრაფიაც, ქცევის შემოქმედებითი მანერაც და თვითონ გიულიც ამოუცნობი, არაორდინარული პიროვნებაა, ისეთი, რომელსაც ერთბაშად ვერ გაშიფრავ...

როგორ „იწყებოდა“ გიული?

იგი უაღრესად მოკრძალებული ადამიანი იყო, ცდილობდა მუდამ მეორე პლანზე ყოფილიყო.

მაგრამ ეს აიხსნებოდა არა რაიმე კომპლექსით, არამედ იმ ადამიანის საკუთარი ღირსების გრძნობით, რომელიც კარგად იცნობს როგორც საკუთარ თავს, ისე თავის შესაძლებლობებს.

იგი ნაკლებად კომუნიკაბელური და ძალზე სიტყვაძუნწი იყო. სამაგიეროდ, შეეძლო მოსმენა, შეეძლო და თანაც როგორ! იგი მთელი არსებით ითვისებდა სამსახიობო ხელოვნებას. ხშირი შავი წარბები ეჭმუხნებოდა, ცდილობდა ჩაწვდომოდა, გაეაზრებინა ის, რასაც სთავაზობდნენ. ჭკვიანი, ლამაზი თვალები, თაფლისფერი ნაპერწკლით, მისი აზრების ენერგიას აფრქვევდა. დატეხილი თმები მუდამ კულულებად ჩამოშლოდა შუბლზე, რომელსაც ჭაბუკობის წლებშივე დასტყობოდა ცხოვრებაზე ფიქრით გაჩენილი ღრმა ღარები... იგი ფიზიკურად კარგად იყო განვითარებული, მაგრამ ამის მიუხედავად, დიდ დროს უთმობდა სპორტს, სასცენო პლასტიკას, აკრობატიკას, მისი სრულყოფის ფიზიკურ მხარესთან ერთად, ნიადაგ იგრძნობოდა თუ როგორ იხვეწებოდა იგი შინაგანადაც. დღეს, ცხოვრების წლებით დაბრძენებული, მე ვიხსენებ მას ახალგაზრდობაში, ვიხსნებ როგორც მოქანდაკეს, თავისი მოდელის ავტორს, რომელიც უზარმაზარი, მძიმე ქვის ლოდს აშორებს ყოველივე ზედმეტს, სულ უფრო მეტად ამსგავსებს მას თავისი პიროვნების ორიგინალს...

ინსტიტუტის დასრულების შემდეგ გიული მოსკოვს გაემგზავრა და ჩაირიცხა კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის მესამე კურსზე გერასიმოვის სახელოსნოში.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ აქ მეც წავახმარე ოდნავ ხელი: გარკვეული დროის განმავლობაში, გიულის თხოვნით, ჩვენ დიდი დატვირთვით ვმუშაობდით რუსული ენის შესასწავლად. ვწერდით კარნახს, თხზულებებს... ამის შემდეგ, ჩვენი გზები კარგა ხნით გაიყარა.

გიულის ბიოგრაფიის ფურცლები შემოქმედებით წრეებში საკმაოდ კარგად არის ცნობილი და ეს მოვლენები ვითარდებოდა წარმატებული შემოქმედებითი სქემის კლასიკური კანონების მიხედვით.

თავისი კარიერის დასაწყისში იგი, როგორც მსახიობი, ბევრჯერ გადაუღიათ კინოსტუდია „ქართული ფილმის“, მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიების ფილმებში, რომლებშიც გიული მთავარ თუ ეპიზოდურ როლებს ასრულებდა. ამ ნამუშევრებიდან მაყურებელს სამუდამოდ აღებეჭდა მეხსიერებაში იბრაჰიმის სახე კინოფილმიდან „ფატიმა“. ვაჟკაცური, კეთილშობილური, ღრმად ტრაგიკული... იბრაჰიმი იმდენად ცოცხალი, სისხლსავსე გმირია, რომ ამას თამაშს ვერც კი უწოდებ, ეს გახლავთ თვით ცხოვრება ეკრანის ჩარჩოში...

ჩვენს მეხსიერებას შემორჩა მცირე, ეპიზოდური როლი ფილმიდან „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, რომელშიც გიული ქურდს განასახიერებს. ანტიპათიის, გაკიცხვისა და სიძულვილის ნაცვლად, ეს ქურდი იწვევს სინანულისა და სიმპათიის გრძნობას განკიცხული ადამიანისადმი, რომელიც სჩადის დანაშაულს ლუკმა-პურის საშოვნელად, თავის გასატანად... ოპერატორმა დაგვანახა მისი თვალები. რა ბევრისმთქმელი იყო დროის იმ მცირე მონაკვეთში ის, რაც ამ თვალებში ამოვიკითხეთ... ეს სახლი, სიმშვიდე, სიმყუდროვე, ზღაპრული სილამაზის გოგონა, მომაჯადოებელი მუსიკა — მისთვის არ არის! და ამ ადამიანს არასდროს არ ექნება ყოველივე ეს!

როცა გამოვიდა პირველი საბჭოთა პოლიტიკური დეტექტივი — „საგანგებო შემთხვევა“ და გიულიმ მასში ახალგაზრდა ქართველი განასახიერა, მსახიობზე მთელი ქვეყანა ალაპარაკდა. მაგრამ უკვე მაშინ, იმ შორეულ დროშიც კი, იგი არასდროს არ თამაშობდა ტრადიციულ ქართველს, მგზნებარე ტემპერამენტით, აქტიური, ფართო „იტალიური“ ჟესტიკულაციით — იგი



პირიქით იქცეოდა: ემოციებს არ აძლევდა გადმოფრქვევის საშუალებას და ყოველივე ეს ვლინდებოდა მკაცრად თავდაჭერილ მანერაში. სწორედ ეს ახდენდა ნამდვილად ძლიერ შთაბეჭდილებას, რადგან ძალზე შორს იდგა სიყალბისგან და ძალზე რეალურად ასახავდა ცხოვრებას. ეს იყო მისი ინდივიდუალურობა, რითაც იგი ორიგინალური და განუმეორებელია.

ეს მძიმე, დინჯი, არაორდინარულად მოაზროვნე ადამიანი, საიმედო და მტკიცე პიროვნებად გვევლინებოდა ეკრანზე. მის შემოქმედებაში უცნაური პარადოქსიც იყო: თვით უარყოფით როლებშიც კი გიულის მაყურებლამდე მიჰქონდა თავისი გმირების ბრალეულობის რეაბილიტაციის დადებითი მუხტი. მისი ყველა გმირი, დადებითი თუ უარყოფითი, მუდამ იწვევდა სიმპათიას...

მიჭირს იმის თქმა, თუ რამდენ ხანს მწიფდებოდა გიული ჭოხონელიძის გადაწყვეტილება გამხდარიყო კინოს რეჟისორი, თვითონაც ეთამაშა ფილმში და მიეღო მონაწილეობა სცენარის შექმნაში...

იქნებ, ეს თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული და სწორედ ასე წარმართა მან თავისი შემოქმედებითი გზაც... ოღონდ, ერთ-ერთ ეტაპზე, რომელიც მხოლოდ მისით იყო ცნობილი, ამ ადამიანმა საკუთარი თავი მიიჩნია მზად საიმისოდ, რომ შესჭიდებოდა რეჟისორის რთულ პროფესიას. და მან მიაღწია სასურველ მიზანს, ეს აღიარებული ოსტატი უკვე დიდი ხანია იღებს ფილმებს როგორც სამშობლოში, ისე მოკავშირე რესპუბლიკებში (ასე ეწოდებოდა მათ მაშინ). მან მოსინჯა საკუთარი ძალები ისტორიული ფილმის, დეტექტივის ჟანრებში, ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციაში... მისი ღრმა პატრიოტული გრძნობები წარმოჩნდა ფორმითა და შინაარსით საინტერესო ფილმში „წინაპართა მიწა“, რომელიც სამამულო ომს ეძღვნება, და მის ბოლო ქმნილებაში — „ანთიმოზ ივერიელი“... ამ ნამუშევარს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

ომისა და მშვიდობის ჰეროიკულმა თემამ გიულისათვის პირველად გაიჟღერა სერგეი ბონდარჩუკის დიდ კინოეპოპეაში. მასში ჭოხონელიძემ ბრწყინვალედ შეასრულა ბაგრატიონის როლი. ბაგრატიონის სახეს კინოში პირველმა შეასხა ხორცი სერგო ზაქარიაძემ. მისი გმირი აღსავსე იყო დაუოკებელი ენერგიით, ემოციით, ქართული ტემპერამენტით. ჭოხონელიძე კი ყველა სცენაში — ბრძოლის ველზე იქნებოდა ეს თუ სხვაგან, ცდილობდა განესახიერებინა შორსმჭვრეტელი, გაბედული სტრატეგი, რომელსაც, ირგვლივ მყოფ სახელმწიფო მოხელეთა კონსერვატიულობის გამო, ზოგჯერ დიდი ბრძოლის ფასად უწევდა ამა თუ იმ გადაწყვეტილების განხორციელება... ეს ადამიანი ცდილობდა საკუთარ თავში ჩაეკეტა დაუოკებელი ენერგია — ეფექტი გასაოცარი იყო!

ბაგრატიონის სახე იმდენად შთამბეჭდავი, ხოლო წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ მაშინდელმა კულტურის მინისტრმა ფურცევამ შესთავაზა გიულის შეექმნა ბაგრატიონის საკუთარი კინოვერსია, შეესრულებინა ფილმში მთავარი როლი. იდეას მხარი დაუჭირეს კინემატოგრაფიულ წრეებში და ჩანაფიქრსაც შეესხა ხორცი. გიულიმ „მოსფილმში“ გადაიღო თავისი „ბაგრატიონი“, ისეთი, როგორსაც ხედავდა და წარმოედგინა. ფილმში ბაგრატიონი უფრო ასაკოვანი, მეტად გამოცდილი და გამბედავია.

ამ საავტორო ფილმში, არნახული გამოცდა ელოდა ადამიანი-ლეგენდის უდრეკ სულს: დაჭრილმა ბაგრატიონმა, რომელსაც ექიმებმა ფეხის ამპუტაციის განაჩენი გამოუტანეს, სიკვდილი არჩია! — რადგან ასეთი ადამიანი მთელი ცხოვრება ვერ დარჩებოდა ინვალიდად მისი უდიდებულესობის — სიცოცხლის სამსახურში...

ეს სცენა ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და ძლიერი გამოდგა მთელ ფილმში.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ტელევიზიამ უჩვენა გიულის ბოლო ნამუშევარი — „ანთიმოზ ივერიელი“.

ფილმის პირველი კადრებიდანვე მომნუსხეს ბიბლიურმა სახეებმა, რომლებიც თითქოს ძველი ფრესკებიდან, წარსულის დიდი მხატვრების ტილოებიდან იყვნენ გადმოსული... უზადო იყო გრიმისა და განათების ოსტატების, ოპერატორის ნამუშევრები: არც ერთი „ყალბი შტრიხი“ სახეზე, არც ერთი ზედმეტი პროჟექტორის სხივი...

ასეთ ფილმებში ხშირად ყალბი ტონი შემოაქვს დეკორატიულ ფონს, ან ახალ, ჯერ კიდევ „მოუთელავ“ კოსტიუმებს... თითიდან გამოწოვილ მშვენიერებას, ან „გადაჭარბებულ ტრაგიზმს“ მიზანსცენების აგებისას... ეს სურათი მომაგონებს ძველებურ გრაგნილს: ნელ-ნელა იშლება ჩვენს თვალწინ და გადმოგვცემს გარდასულ საუკუნეთა ამბავს...

ბრწყინვალე იყო ამ ფილმში მსახიობების თანავარსკვლავედი: ძველი თაობის საუკეთესო ოსტატები, საშუალო ასაკის მსახიობები, ნიჭიერი ახალგაზრდები, საკმარისია დავასახელოთ თენგიზ არჩვაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ოთარ კობერიძე, ლია ელიავა. ზურაბ ყიფშიძე, გოგი გეგეჭკორი... თვით გიული ჭოხონელიძემ შეასრულა ანთიმოზის როლი სიბერეში, ახალგაზრდა ანთიმოზის სახეს კი ბრწყინვალედ შეასხა ხორცი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ლაშა ოყროშიძემ.

ფილმს დიდხანს იღებდნენ. ეს გასაგებიც არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, როდის ხდებოდა მისი გადაღება. შემქმნელ კოლექტივს ამოუდგა მხარში რუმინეთის კინოკომპანია და უშუალო დახმარება გაუწია რუმინეთის პატრიარქმა. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენი თანამემამულე ანთიმოზ ივერიელი, ღვთის ნებით, დიდი ხნის განმავლობაში იყო რუმინეთის პატრიარქი...

ეს გახლავთ გიულის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი, რომელიც მაყურებელს აზიარებს არა კინემატოგრაფიულ, არამედ ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებებს.

მაგრამ, ამით როდი დაესმება წერტილი მოწიფული ოსტატის შემოქმედებით ბიოგრაფიას. გიულის დაუდგა შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანა. ამ ადამიანმა იცის რა სურს და როგორ უნდა მიაღწიოს მიზანს.

მივულოცოთ მას დაბადების 75 წლისთავი და ვუსურვოთ მრავალი წლის შთაგონებული, შემოქმედებითი ცხოვრება.

**დიანა კესნერი,**
**მსახიობი,**
**ღირსების ორდენოსანი,**
**თბილისის საპატიო მოქალაქე.**

## ისტორია

# ასე ვრცელდებოდა ქრისტიანობა კოლხეთში

(მეთორმეტე გვერდიდან)

ქრისტიანობისთვის წამებული, ცნობილი ორმოცი სებასტელი მარტვილი, ამ ლეგიონის ჯარისკაცები იყვნენ. გარდა ამისა, ამ ლეგიონს ეკლესია პირდაპირ უკავშირებს მარკუს ავრელიუსის (160-181 წწ) დროს მომხდარ სასწაულს. დუნაისპირეთში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, რომაელთა არმია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა კაპადოკიიდან გადმოყვანილი XII ლეგიონის ცალკეული ნაწილები, ბარბაროსთა ალყაში მოექცა. ზაფხულის აუტანელ სიცხეში, უწყლო ადგილას მტრისგან გარშემორტყმული რომაული არმია წყურვილისგან იხრჩობოდა. ძალაწართმეულ რომაელებს განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ ბარბაროსები. რომაელთა ჯარს აუცილებლად დაღუპვა და სრული განადგურება ელოდა. ლეგენდის თანახმად, რომაელები დაღუპვისგან იხსნა მოულოდნელად წამოსულმა საშინელმა წვიმამ და ჭექა-ქუხილმა. კოკისპირულმა წვიმამ გამოაცოცხლა რომაელი ჯარისკაცები, ხოლო ბარბარსოთა რიგებს თავს დაატყდა ძლიერი ელვა და მეხი. პირველივე დღიდან გაჩნდა ვერსია, რომ რომაელთა მხსნელი წვიმა მოვიდა იმ ლოცვის შედეგად, რომელიც ზეცად აღავლინეს საეკლესიო წესით დაჩოქილმა XII ქრისტიანული ლეგიონის ჯარისკაცებმა. ეს გადმოცემა ცნობილი იყო როგორც წარმართულ, ასევე ქრისტიანულ მწერლობაში (ევსევი კესარიელი, ტერტულიანე, ქსიფილინე და სხვ.) და ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ სამყაროში.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს ლეგენდა, ერთი რამ ცხადია, XII ლეგიონი მთელ რომის იმპერიაში ცნობილი იყო როგორც ქრისტიანული რელიგიის ერთგული მიმდევარი და ძალზე პოპულარული იყო ძველ ქრისტიანულ სამყაროში. რა თქმა უნდა, კოლხეთის სანაპირო პუნქტებში — აფსაროსში, ფაზისში, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში ხანგრძლივი დროის მანძილზე მდგომი XII ლეგიონის შენაერთები, გარდა იმისა, რომ ასრულებდნენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას და იცავდნენ რომის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ხელს უწყობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ადგილობრივ მოსახლეობაში. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ რომაული ციხე-სიმაგრეების გარშემო არსებობდა სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ ვეტერანთა დასახლებები და მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მკვიდრ მოსახლეობასთან, ცხადი გახდება, რომ კოლხეთის ზღვისპირა ცენტრები წარმოადგენდნენ ქრისტიანობის გავრცელების მძლავრ კერებს დასავლეთ საქართველოში.

ასე რომ, ახ. წ. I ს. ბოლოდან კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელება ეჭვს არ უნდა იწვევდეს და ფაქტია, რომ ქრისტიანობის ოფიციალურად ცნობას (IV ს.) დასავლეთ საქართველოში, წინ უძღოდა ახალი რელიგიის თანდათანობითი გავრცელებისა და დამკვიდრების ხანგრძლივი, თითქმის სამსაუკუნოვანი ტრადიცია.

**კახაბერ ფიფია,**
**თსუ სოხუმის ფილიალის ძველი მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის მასწავლებელი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 12 აპრილი

---

07.30 ალიონი 09.15 მხ. ფილმი "**იესო**" 10.30 დოკ. ფილმი "სერგო ზაქარიაძე" 11.40 საკვირაო გამოფენა 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 მარკოზის სახარება 13.55 სატ. დოკ. ფილმი "ჰამლეტ გონაშვილი" 14.30 სატ. ფილმი "კვლავ მივლინებაში" 15.15 სატ. მხ. ფილმი "**არასერიოზული კაცი**" 16.30 კონცერტი 17.00 კახი ასათიანი 17.35 "ხსოვნის საღამო" (თეატრი) 18.30 სერიალი "**წვრილვარსკვლავთა ღამე**" 19.00 მოკლ. ფილმი "**ქოჩორა**" 19.25 "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "**სოლედადი**" 22.10 "ჯანსულ კახიძე" 23.30 მხ. ფილმი "**ელიზა**"

---

19.00 მულტსერიალი "შავი მეკობრე" 19.30 კინოსეანსი "**რა იცოდა მეზიმ**" 21.00 "ძველი ვოდევილები"-"ძველ სასამართლოში" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი "**პრინცესა დი**"

---

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი "**შურისძიება**" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 **ბუნდეს ლიგა** 16.30 სერიალი "**მაშველები**" 17.05 პერეკროსტოკი 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**შურისძიება**" 22.00 სერიალი "**ჯაშუში**" 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი "**ამომავალი მზე**". მთ. რ-ში: შონ კონერი, უესლი სნაიპსი.

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.05 მხ. ფილმი 10.20 მხ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.30 დოკ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი 21.00 დოკ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი

---

09.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 09.15, 11.20, 13.15, 16.50, 17.20, 03.05 იმედის მელოდიები 09.30 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 10.10 "დროება" 11.30 სპ. პროგრამა "ესტაფეტა" 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.30, 02.35 **ტვ**-მარკეტი 14.05 თამაში: უდაბნოს სამჭედლოები 15.15 დოკ. სერიალი "ჟერარ ფილიპი" 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 02.20 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი "**ტყუპები**" 19.35 სერიალი "**კლონი**" 20.30 ქართ. სერიალი "**თენდება გვიან**" მე-9ს. 21.30 "ვაკაჭი-ნიუსი" 23.00 "არჩევანი თქვენ" 00.20 სპორტ. პროგრამა "გოლი" 00.50 მხ. ფილმი "**სამოთხესთან ახლოს**" (კ. დენევი)

---

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 11.10 დღის კინოდარბაზი 12.00, 15.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.10 მულტფილმი "კონკია 2" 18.30 მულტსერიალი "რედვოლი" 19.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "**უნივერსალური ჯარისკაცი**" (ჟან კლოდ ვანდამი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი "**შოკოლადი**" (ჯულიეტ ბინოში)

---

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი "**წვიმის სეზონი**" 15.00 მხ. ფილმი "**მრბოლელი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**შოუ იწყება**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**დამწყები**" 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

---

1ST

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი "**ჭირიანი პარასკევი**". მთ.რ-ში ჯემი ლი კერტისი, ლინდსენ ლოხანი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" "**ციებ-ცხელება**". მთ.რ-ში ჯორდან ლადი, ჯეიმს ლებელო. 03.00 პაუზის გარეშე

---

202

10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "**ცხელი თავები 1**" ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი "დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი "**ოპერაცია "ტუშონკა"**" 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 22.45 ანიმ. ფილმი "დარდუბალა" 23.00 დებატები 202-ზე 00.30 მხ. ფილმი "**გამოსასყიდი**"

---

VII არხი

09.15 "აჩიკუდა" 09.35 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.20 მელოდია 10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.00 "ტალავერი" - განმეორებით 12.00 ტელესერიალი - "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.10 მობილურები 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 20.25 კომპიუტერული ტექნიკა 20.30 "ნა-ნა-ნა" - კარაოკე 21.40 მობილურები 22.10 "კინოკლუბი"-"**ფორესტ გამპი**". მელოდრამა. რეჟ. რობერტ ზემეკისი. მთავარ როლში: ტომ ჯენქსი. 00.25 მელოდია 00.30 აუდიო-ვიდეო-ტელე

## სამშაბათი
### 13 აპრილი

---

